ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 3 აპრილი, 2023 | №65 (9101) | ფასი: 80 თეთრი

## ქუთაისში ქმარმა ცოლს 12 ჭრილობა მიაყენა, შემდეგ კი თავი მოიკლა



გვ.2

# სალომე ზურაბიშვილი „ქართულ ოცნებას“ ივანიშვილის დავალებით დაეტაკა?!



გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „სააკაშვილი უნდა გაუშვან. უფრო ნაკლები შარი ექნებათ. ექსპრეზიდენტი ციხეში, ეს არის ტვირთი მთელი ქართველი საზოგადოებისთვის“



„სულ შეთქმულების თეორიებში ვცხოვრობთ, ხან ვინ ცხადდება ივანიშვილის პროექტად და ხან – ვინ. აქამდე გვესმოდა, რომ გახარია იყო ივანიშვილის პროექტი, ასე არ აღმოჩნდა. ახლა გვესმის, რომ ყიფიანს ამზადებს ივანიშვილი პრემიერად. ამ ჭორებში და მითქმა-მოთქმებში გადის დრო და ამასობაში არჩევნებიც მოვა“

## საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ლიეტუვაში საქართველოს პროდასავლურობას ამყარებს

გვ.4

„დღეს თუ ვინმე წმენდს ნამუსს ჩვენს ქვეყანას, თქვენ ხართ და პირველ რიგში, ის ბიჭები არიან, რომლებიც სისხლს ღვრიან“.

## შეეცვალოს პატიმრობა გირაოთი

– ლაზარე გრიგორიადისის ადვოკატმა სააპელაციოს მიმართა

გვ.5



## ნინო ლომჯარია:

„ის, რომ ლაზარემ „მოლოტოვის კოქტეილი“ ისროლა, საჯაროდ წარმოდგენილ მტკიცებულებებში არ ჩანს“

გვ.2



გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ქუჩაში გასვლა და ბრძოლის განახლებაა საჭირო. „ოცნებას“ არ აწყობს ევროკავშირი, რადგან იქ სულ სხვა თამაშის წესებია, მათ რუსეთის თამაშის წესები აწყობო“

## „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, ლაზარე გრიგორიადისი სამაგალითოდ დასაჯოს“

## ირაკლი ღარიბაშვილი ანტიკორუფციულ ბიუროზე: „ბიურო ერთი ქოლგის ქვეშ აერთიანებს კორუფციის პრევენციის ყველა ძირითად ფუნქციას“



გვ.3

5 თაღლითი მაკლერები ნაქირავებ ბინებს აგირავებდნენ, ზარალი მილიონს აღწევს

2 გია ვოლსკი: „საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებს ფონ კრამონი“

5 პროკურატურა – „ამბასადორში“ ხანძრის გაჩენის ფაქტზე დაკავებულს ბრალდება წარედგინა

6 ციებ-ცხელება კიევო-პეჩორსკის ლავრის გარშემო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალომე ზურაბიშვილი „ქართულ ოცნებას“ ივანიშვილის დავალებით დაეტაკა?!

ნონა ცაბაძე

*„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.*



**თორნიკე შარაშენიძე: „სააკაშვილი უნდა გაუშვან. უფრო ნაკლები შარი ექნებათ. ექსპრეზიდენტი ციხეში, ეს არის ტვირთი მთელი ქართველი საზოგადოებისთვის“**

***– ბატონო თორნიკე, გასული კვირის ბოლოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილის გამოსვლა მოვისმინეთ პარლამენტში. მოვისმინე შეფასებები, რომ საკმაოდ ემოციური იყო მისი გამოსვლა და სწორი გზავნილები ჰქონდა პრეზიდენტს. ასევე კობახიძის შეფასებაც მოვისმინეთ, იმედია წითელ ხაზებს არ გადაკვეთს და უკადრებელს არ იკადრებსო. როგორია თქვენი შეფასებები, რა ამოიკითხეთ მის გზავნილებში, რამდენად სწორი აქცენტები გააკეთა? რა საპასუხო რეაქცია ექნებათ „ქართული ოცნების“ ლიდერებს?***

– მე მგონი, ამ ეტაპზე არ ექნებათ რეაქცია, რადგან მათი თქმით, არ გადაუკვეთავს წითელი ხაზები. ასე რომ, ჯერჯერობით განსაკუთრებულ და მძიმე რეაქციებს არ ველი. წითელი ხაზების გადაკვეთა იქნება.

***– გვარამიას და სააკაშვილის შეწყალება?***

– ესეც და მთავრობისთვის პრორუსულის დაძახება და ა.შ. ჩემი აზრით, ეს იქნება წითელი ხაზები.

***– თუმცა სალომემ თქვა, რომ მოსკოვი და თბილისი ერთ ტონალობაში საუბრობსო.***

– ეს არ ნიშნავს, რომ პრორუსულია, ეს ნიშნავს იმას, რომ ოფიციალური თბილისი ზედმეტად ფრთხილობს, შეშინებულია და სწორედ ამიტომ ემთხვევა მათი რიტორიკა. მე პირადად ასე უფრო ვუყურებ ამ ვითარებას. რიტორიკა ემთხვევა იმიტომ, რომ ამ ომის ფონზე ძალიან ფრთხილად იქცევიან. ცხადია, მოსკოვს მოსწონს, ფრთხილად რომ იქცევიან. რეალურად მეორე ფრონტი, პრინციპში, არც რუსეთს არ უნდა. უკრაინაშიც უჭირს და გაეფანტება ძალები. ამიტომაც მოსკოვიც მიესალმება იმ ფაქტს, როცა ესენი ამბობენ, რომ არ ჩავერთვებით. აი ეს ხდება საბოლოო ჯამში. ამით აიხსნება ეს ყველაფერი.

***– რატომ შეიცვალა ტონი და რიტორიკა საქართველოს პრეზიდენტმა, რა ხდება?***

– არ მოსწონს მას ხელისუფლების ეს გაუგებარი განცხადებები, ეს ერთი, მეორეც, მას ახლა ვადა ეწურება და უნდა, რომ გააგრძელოს პოლიტიკური კარიერა. პოლიტიკურ კარიერას, ცხადია, „ოცნებასთან“ ერთად ველარ გააგრძელებს. უნდა გააგრძელოს ოპოზიციასთან ერთად, ან მისთვის იდეალური ვარიანტი იქნება, სადმე უცხოეთში, საერთაშორისო ორგანიზაციაში. შესაბამისად, ის უნდა დადგეს უფრო ევროპის მხარეს, ვიდრე ახლა აყვეს ამ სიტუაციაში „ქართულ ოცნებას“, რომელიც თავის განცხადებებით, ხშირად გაუგებრობას ქმნის.

***– მდინარაძის განცხადება მოვისმინეთ და ახია ჩვენზე, რაც ჩვენ სალომეს არჩევაზე ვიწვალეთო. ნანობენ სალომეს პრეზიდენტად არჩევას?***

– რა გითხრათ, აბა. აქ ორი თემაა, სალომე ზურაბიშვილი რომ რთული ხასიათის ადამიანია, ეს ყველამ მშვენივრად იცოდა, ვისაც მასთან ჰქონია შეხება მანამდეც.

მისგან თუ ელოდებოდნენ ახლა სრულ მორჩილებას, ეს, მინიმუმ, შეცდომა იყო. შენ თუ ელი სრულ მორჩილებას რთული ხასიათის ადამიანისგან, როგორიც ნამდვილად არის სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ხანდახან პრინციპულობას იჩენს ხოლმე, ეს სერიოზული შეცდომაა. გასაგებია, მათი ტონი იმით აიხსნება, რომ ამდენი გავაკეთეთ მისთვის, დავეხმარეთ, რომ გასულიყო პრეზიდენტად და არ გვიფასებსო. პოლიტიკაში არ მუშაობს ეგრე, დაეხმარები ვიღაცას და მერე იმისგან უსიტყვო მორჩილებას ელი, არ უნდა ელოდო. ეს პოლიტიკაა.

***– ბოლო პერიოდში მკვეთრად გამოიკვეთა, რომ აღარ არის მორჩილი პრეზიდენტი.***

– კი, ბატონო, ასეა. ცხადია, მას არც აქვს იმედი, რომ ოცნება დაასახელებს მას ისევ კანდიდატად. ამიტომ, როგორც თვითონ ფიქრობს, უნდა დადგეს სწორ მხარეს. ამიტომ დგას და აკრიტიკებს „ოცნებას“.

***– ევროკავშირიც უწონებს პრეზიდენტს სახეცვლილებას. ძალიან ამაღელვებელი და სწორი გამოსვლა ჰქონდაო, განაცხადა ევროკავშირის ელჩმა.***

– არ ვიცი, მართლა რამდენად აღელდა ევროკავშირი მისი გამოსვლით, მაგრამ ზურაბიშვილმა ძირითადად გაიმეორა ევროკავშირის რიტორიკა.

***– ბატონო თორნიკე, ასეთ შეფასებებსაც ვისმენთ, რომ ბიძინა ივანიშვილის თანხმობის გარეშე, სალომე ზურაბიშვილი ამდენს ვერ გაბედავდა. „ოცნებას“ სწორედ ივანიშვილის თანხმობით აკრიტიკებსო. ამაზე რას ფიქრობთ?***

– არა, არ მჯერა მე მაგის. არც ის მჯერა, რომ ივანიშვილი თანხმობას აძლევს სალომე ზურაბიშვილს. ჩემი აზრით, ის მინიმალურად ერევა რაღაც-რაღაცებში. ყოველ შემთხვევაში, იმაში ნამდვილად არ ჩაერევა, რომ სალომე, ახლა შენ ეს თქვი, ის არ თქვა. ამაში ნამდვილად დარწმუნებული ვარ.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ სალომე ზურაბიშვილი დამოუკიდებელ თამაშს თამაშობს?***

– კი, დარწმუნებული ვარ. ისევ და ისევ მის ინტერესებშია, რომ დაიჭიროს მაქსიმალურად პროევროპული პოზიცია. ბოლოს და ბოლოს, მისი კარიერის ინტერესებშია, სხვა თუ არაფერი.

***– რამდენად შეიძლება მოქმედებდეს ოპოზიციასთან ერთად?***

– არა მგონია. შეიძლება ემთხვეოდეს მისი და ოპოზიციის განცხადებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ერთად მოქმედებენ. დაახლოებით იგივე გამოდის, რომ საქართველოს ხელისუფლება და რუსეთის ხელისუფლება თანამშრომლობდეს. მათი რიტორიკა თუ ემთხვევა ერთმანეთს, ეს არ ნიშნავს, რომ ერთად მოქმედებენ.

***– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ივანიშვილი ნაკლებად ერევა მსგავს სიტუაციებში?***

– ასეთ რაღაცებში რომ არ ერევა, ამაში დარწმუნებული ვარ.

***– ბოლოს ივანიშვილი თუთიყუშების გარემოცვაში გამოჩნდა და ბევრს ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა ამ ყველაფერთან დაკავშირებით, დაგვცინის ივანიშვილიო.***

– მე არ ვიცი, დასცინის თუ არა ივანიშვილი ხალხს, მაგრამ რაც არ უნდა გააკეთოს, ყველაფერზე ნეგატიური რეაქცია აქვთ. ეს ნეგატიური რეაქციები კი, გასაგებია, რით არის გამოწვეული, გამოწვეულია იმით, რომ უკვე მესამე ვადით არის „ოცნება“ ხელისუფლებაში. ხალხს მაგდენი ხნის შემდეგ ბეზრდება ნებისმიერი ხელისუფლება, კარგიც რომ იყოს. წარმოიდგინეთ, კარგიც ბეზრდებათ და „ოცნება“ მესამე ვადითაა და მეოთხე ვადითაც უნდათ, რომ დარჩნენ. ცხადია, ხალხს აგრესია უჩნდება ასეთ დროს.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ დასკვნით ეტაპზე გადადის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულება. ივლისში დასრულდება მსჯელობა და ოქტომბრის ბოლოს ვერდიქტს უნდა დაველოდოთო, რა მოლოდინი გაქვთ, რამდენად შეთანხმდება ხელისუფლება და ოპოზიცია? შეძლებენ ერთად მუშაობას? რას ელოდებით? მოლოდინი დადებითია. ხელისუფლება არა, მაგრამ ხალხი იმსახურებს ამ შანსს და მისცემენ კანდიდატის სტატუსსო. რას იტყვით ამაზე?***

– დიახ, სწორედ ამაზე გაკეთდება აქცენტი და იმედი მაქვს, რომ მოგვცემენ. განცხადებებითაც მიანიშნებს ევროკავშირი, რომ ეს, პირველ რიგში, ხალხის დამსახურებაა. გასაგებია, რომ მათ რაღაც-რაღაცები არ მოსწონთ, ხელისუფლების ნამოქმედარი. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებაც, მინიმუმ, ქაღალდზე მაინც შეასრულებს 12 პუნქტს, რომ სალაპარაკო არ გახდეს ეს ამბავი. ხელისუფლებას ნამდვილად არ აწყობს ეს ახალი სკანდალი, რომ სტატუსი ვერ მიიღოს. დამატებითი შარი რაში აწყობს?! აქ ახლა რაღაც შეთქმულების თეორიები ვითარდება, რომ აი, არ უნდათ მაგათ ევროპა და ამიტომ იქცევიან ასე. პირიქით, ძალ[illegible]ნაც უნდათ. იმდენი ქულა ჩაიწერეს ასოცირების შეთანხმებით და უვიზო მიმოსვლით, დღემდე ამას ტრაბახობენ და რატომ არ უნდა აწყობდეთ, კანდიდატის სტატუსი რომ არ მიიღონ, რა სისულელეა!

***– სტატუსი უნდათ, მაგრამ არ უნდათ, რომ მათ ძალაუფლებას საფრთხე შეექმნას.***

– აი ეგ არის ნამდვილად. ეგ უკვე სულ სხვა ამბავია. მიგვიღეთ ასეთები, უკეთესები ვერ გავხდებითო. ჩვენზე უკეთესი ძალა არ არსებობს ქვეყანაშიო, მე მგონი, ეს იგულისხმება რეალურად.

***– სააკაშვილის და გვარამიას გათავისუფლების საკითხიც რომ დგას? ეს რამდენად იქნება შესაძლებელი, რომ გადაწყდეს და მოგვარდეს?***

– იმედი მაქვს, რომ მოგვარდება. მე საერთოდ ვფიქრობ, რომ სააკაშვილი უნდა გაუშვან. უფრო ნაკლები შარი ექნებათ. მე ასე ვფიქრობ, თუმცა, თვითონ ალბათ სხვანაირად ფიქრობენ. ფიქრობენ, რომ გარეთ უფრო მეტი შარი იქნება სააკაშვილი. იმედი მაქვს, რომ წლის ბოლომდე ესეც დალაგდება. სააკაშვილი ციხეში, ეს არის ტვირთი მთელი ქართველი საზოგადოებისთვის. ეს არა მარტო სამართლებრივი საკითხია. სამართლებრივად თუ მივუდგებით, ბოლოს და ბოლოს, საზღვრის კვეთის გამო მაინც უნდა იჯდეს ციხეში, სხვა თუ არაფერი, მაგრამ პოლიტიკური საკითხიც არის. გინდა არ გინდა, პოლიტიკურ საკითხად იქცა ეს. თორემ რომელ პატიმარს ჰქონია საქართველოში ასეთი პირობები, სააკაშვილს რომ აქვს?! თუმცა ყოფილი პრეზიდენტია, რას ვიზამთ და პოლიტიკური საკითხი უფროა, ვიდრე სამართლებრივი. შესაბამისად, ამ საკითხის გადაჭრა შესაძლებელია მარტივად, გაუშვით სადმე! გაუშვან საჯარო დათქმით, რომ თუ კიდევ შემოვა, აღარსად აღარ გაუშვებ.

***– ამ საკითხში თუ ელოდებით სალომე ზურაბიშვილის ჩარევას და გააქტიურებას ამ კუთხით?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## გია ვოლსკი: „საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებს ფონ კრამონი“



პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი საქართველოში დასავლური პოლიტიკის დისკრედიტაციისთვის ჩამოვიდა და მისი მიზანია ქვეყანაში ფიზიკური დაპირისპირების წახალისება.

– ყველაფერი ნათელი გახდა. ეს არის სტრატეგია, რომელიც აქციებიდან უნდა გადაიზარდოს ფიზიკურ დაპირისპირებასა და ისეთი სახის სამოქალაქო დაპირისპირებაში, რომელიც დაკავშირებულია სისხლთან, ადამიანურ მსხვერპლთან, – თქვა გია ვოლსკიმ და დასძინა, რომ ევროპარლამენტარი ამ სტრატეგიას უჭერს მხარს. „საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებს ფონ კრამონი და ასევე, ის ადამიანები, ვინც ევროპარლამენტში რეზოლუციის შემქმნელები, ლობისტები არიან და საქართველოს წინააღმდეგ არიან მიმართულები, – განაცხადა მან.

## „კიდევ უფრო მეტად გამოიხატა კახექსიის მდგომარეობა და სისუსტე“ — ნევროლოგი თენგიზ წულაძე მიხეილ სააკაშვილზე

სახალხო დამცველის კონსილიუმმა კლინიკა „ვივამედში“ მიხეილ სააკაშვილი მოინახულა. ნევროლოგი თენგიზ წულაძე ამბობს, რომ მესამე პრეზიდენტის მდგომარეობა მძიმეა, სერიოზული ჩარევები სჭირდება, რათა მისი სიცოცხლე გადარჩეს.

ასევე, წულაძის თქმით, კიდევ უფრო მეტად გამოიხატა კახექსიის მდგომარეობა და სისუსტე.

– კიდევ უფრო მეტად გამოიხატა კახექსიის მდგომარეობა და სისუსტე. მისი მდგომარეობა მძიმეა, სერიოზული ჩარევები სჭირდება, რათა მისი სიცოცხლე გადარჩეს. ველარ იტყვი, როდის, რა სისწრაფით დამძიმდება პაციენტი. პროგნოზირება ძალიან ძნელია. კომბინირებული და რთულად სამართავი პაციენტია. გადაადგილება შეუძლია, რამდენიმე მეტრს გაივლის. ეს არ არის ის, რაც ჩვეულებრივ ადამიანს შეუძლია. გადაადგილებისას, სავარაუდოდ, დაცემის მაღალი რისკი აქვს. მისი წამოდგომა და გადაადგილება რისკთან არის დაკავშირებული მაშინაც კი, როდესაც პალატიდან საპირფარეშოში შესვლას დააპირებს, – ამბობს წულაძე.

შეგახსენებთ, რომ ბოლოს სახალხო დამცველის კონსილიუმი მიხეილ სააკაშვილთან 19 თებერვალს იმყოფებოდა. ახალი სახალხო დამცველის, ლევან იოსელიანის დანიშვნის შემდეგ კი, ეს პირველი ვიზიტია მესამე პრეზიდენტთან.

## ქუთაისში ქმარმა ცოლს 12 ჭრილობა მიაყენა, შემდეგ კი თავი მოიკლა

საზარელი შემთხვევა ქუთაისში. ახალგაზრდა ქალს ქმარმა ცივი იარაღით 12 ჭრილობა მიაყენა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. უგონო მდგომარეობაში მყოფი ქალი მეზობლებმა იპოვეს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ის კლინიკაში გადაიყვანა.

37 წლის ქალი ამ დროისთვის რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება. დაზარალებულის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა. გარდაცვლილი მამაკაცის ცხედარი კი უკვე მშობლიურ სოფელში, ხობშია გადასვენებული. მომხდარზე შსს-მ გამოძიება დაიწყო.

## ნინო ლომჯარია: „ის, რომ ლაზარემ „მოლოტოვის კოქტეილი“ ისროლა, საჯაროდ წარმოდგენილ მტკიცებულებებში არ ჩანს“



ყოფილი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია მარტის აქციაზე დაკავებული 21 წლის ლაზარე გრიგორიადისის მიმართ „ოცნების“ მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ნიშნებზე საუბრობს და ამ საკითხზე სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს.

– პირველ რიგში, ის, რომ ლაზარემ ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი ისროლა, საჯაროდ წარმოდგენილ მტკიცებულებებში არ ჩანს. ამასთანავე, ირღვევა ლაზარეს უდანაშაულობის პრეზუმფცია, რადგან ირაკლი კობახიძემ ის უკვე შერაცხა მოძალადე ახალგაზრდად, გამოიყენა ბრალდებულის მიმართ სიძულვილის ენა. ჯერჯერობით რაც ზედაპირზეა, პრემიერის და მმართველი პარტიის ლიდერის მხრიდან ადგილი აქვს აქციის მონაწილეების დემონიზების პოლიტიკურ განზრახვას, რისი რეალიზებაც ლაზარეს შემთხვევაში უნდათ რომ მოახდინონ, – წერს ლომჯარია.

შეგახსენებთ, რომ 31 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ მარტის აქციებზე დაკავებულ ლაზარე გრიგორიადისს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. უწყება მას „რუსული კანონის“ გასაპროტესტებლად გამართულ აქციაზე პოლიციელებზე თავდასხმასა და სხვისი ნივთების დაზიანებას ედავება.

შსს-ს განცხადებით, მან 7 მარტს ორჯერ ისროლა ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი სამართალდამცველების მიმართ, რის შედეგადაც რამდენიმე პოლიციელი დაშავდა. ასევე, დაწვა პოლიციის კუთვნილი მანქანა.

საქმეზე გამოძიება სსკ-ის 353-ე პრიმა და 187-ე მუხლებით მიმდინარეობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, დაკავებულს 7-დან 11 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, ლაზარე გრიგორიადისი სამაგალითოდ დასაჯოს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ქუჩაში გასვლა და ბრძოლის განახლებაა საჭირო. „ოცნებას“ არ აწყობს ევროკავშირი, რადგან იქ სულ სხვა თამაშის წესებია, მათ რუსეთის თამაშის წესები აწყობთ“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, დაკავებული ლაზარე გრიგორიადისის საქმის კომენტირებისას, უმრავლესობის წევრმა ალუდა ღუდუშაურმა ოპოზიციას უთხრა – ცეცხლს ეთამაშებით! თუ სახელმწიფოს დამხობას აპირებთ, პასუხსაც საკადრისს მიიღებთ.***

– ალუდა ღუდუშაურს მინდა ვუთხრა, თუმცა, მანამდე ივანიშვილი თუთიყუშების გარემოცვაში ტყუილად არ გამოჩენილა. სწორედ ისინი ამხობენ ამ სახელმწიფოს. სახელმწიფო გადატრიალებაა, აბა სხვა რაღაა, როდესაც კონსტიტუციაში წერია, საქართველოს ხელისუფლების ვალდებულებაა ევროკავშირსა და ნატოში ამ ქვეყნის შეყვანა, „ქართული ოცნება“ კი რუსეთისკენ ექაჩება საქართველოს.

რატომ ჰგონიათ, რომ ამას ვინმე აპატიებს მათ. რატომ ფიქრობენ, რომ ამაზე არ გაბრაზდება ქართველი ხალხი, როგორც არაერთხელ გაბრაზდა. კონსტიტუციური წყობის დამხობა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა იყო პარლამენტში „აგენტების კანონის“ გატანა ხალხის ნების საწინააღმდეგოდ. ამაზე რატომ არ ლაპარაკობს ღუდუშაური?!

რაც შეეხება ახალგაზრდა კაცს, ლაზარე გრიგორიადისს. სიმართლე გითხრათ, მე არ ვიცნობ მას, მაგრამ ეს საერთოდ არაფერს არ ნიშნავს. არც ერთი წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია, არ ამბობს, რომ გრიგორიადისმა მოლოტოვის კოქტეილი ისროლა.

***– ყოფილი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარიაც იგივეს აცხადებს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებს აღნიშნულ ფაქტს.***

– დიახ, ეს არ დასტურდება დღემდე საჯაროდ წარმოდგენილი მტკიცებულებებით! მიუხედავად ამისა, სასამართლო მზად არის, ეს კაცი სამაგალითოდ დასაჯოს, რადგან ეს არის ხელისუფლების მოთხოვნა.

„ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, რომ სწორედ ეს ახალგაზრდა ადამიანი დასაჯოს, რადგან ფიქრობს, რომ ის საზოგადოების ნაკლებ სოლიდარობასა და მხარდაჭერას გამოიწვევს. თუმცა, ძალიან ცდება. ეს ასე არ არის.



***– ხელისუფლება აღიარებით ჩვენებაზე საუბრობს.***

– აღიარებითი ჩვენება თუ ასეთი არსებობს, გასაგებია, როგორ ხდება მისი მოპოვება ავტორიტარული რეჟიმების დროს. ეს იქნებოდა წინა რეჟიმის თუ მოქმედი რეჟიმის პირობებში. გასაგებია, რომ ზეწოლის შედეგად ხდება ასეთი „აღიარების“ მოპოვება. ეს ასე ხდებოდა და ასე მოხდა, თუ არსებობს „აღიარება“. არც ეს არ გვინახავს.

პარიზში ნახონ როგორია გამოსვლები. როგორ წვავს ხალხი მანქანებს. როგორ უსწორდებიან პოლიციელებს, სახელმწიფო უწყებებს, შენობებს. ესეც არ უნახავთ?! მით უფრო, როდესაც გრიგორიადისის ქმედებას, თუ ასეთი მოხდა, არც ერთი დაზარალებული არ ჰყავს. არც ჯანმრთელობა დაუზიანებია ვინმესი და არც რაიმე სერიოზული ზარალი მიუყენებია ვინმესთვის.

დღეს ამ ახალგაზრდა ადამიანს დაცვა სჭირდება და ის საზოგადოებამ უნდა დაიცვას, რადგან ის იცავდა თავის ევროპულ მომავალს და მადლობა მას ამისთვის. ღუდუშაურები, მდინარაძეები კი თავიანთ მომავალს იცავენ. გასაგებია, რაც აღელვებს ღუდუშაურს. სახელმწიფო და მისი კონსტიტუციური წესრიგი კი არ აღელვებს. როდესაც კონსტიტუციური გარანტიის გაუქმება ხდებოდა, მაშინ სად იყო, მაშინ რატომ არ ღელავდა ასე ძალიან.

დღეს, საქართველოს მთავარი მოღალატე ხელისუფლებაა. ერთი ადამიანის ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ იმ ერთი ადამიანის ინტერესებით მოქმედებს და მას ემსახურება. „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს ევროკავშირი, რადგან იქ სულ სხვა თამაშის წესებია, მათ რუსეთის თამაშის წესები აწყობთ. ამიტომ მზად არიან, უარი თქვან ამ ქვეყნის მომავალზე, მის ევროპულ არჩევანზე და საქართველოს ევროინტეგრაციის ნაცვლად, რუსეთთან ინტეგრაციას სთავაზობენ. ეს საქართველოში არავის არ გამოსვლია და არც მათ გამოუვათ. ტყუილად ჰგონიათ, რომ ამას შეძლებენ.

თუმცა, რეალობას თვალი რომ გავუსწოროთ და ამ არჩევანის გადასარჩენად, მის რეალობაში მოსაყვანად, ბრძოლაა საჭირო. ქუჩაში გასვლა და ბრძოლის განახლებაა საჭირო. შეიძლება ფიქრობენ, რომ ამ ახალგაზრდა ბიჭის სამაგალითო დასჯით, სხვა ახალგაზრდებს დააშინებენ, მაგრამ გამორიცხულია, ახალგაზრდების დაშინება და გაჩერება შეუძლებელია.

პარლამენტში ჩარჩენილმა ოპოზიციამ უნდა გააცნობიეროს, რომ ეს ხელისუფლება არ აპირებს 12 პუნქტის შესრულებას. როდესაც ფაქტის წინაშე აღმოჩნდებიან, მერე გვიან იქნება. მერე ხალხს ვერ აუხსნიან, – ასე არ ვფიქრობდით, გვეგონა, „ოცნება“ უფრო რაციონალურად მოიქცეოდა და ა.შ. ვერაფრით ვერ გაამართლებენ თავიანთ საქციელს. ამიტომ, უმჯობესია, ხალხის გვერდით დადგნენ. პარლამენტში ყოფნით ივანიშვილის საქმეს აკეთებენ.

# სესხების ნაწილზე საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა



2023 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, შინამეურნეობებისთვის გაცემული სესხების ნაწილი გაძვირდა, ნაწილი კი გაიაფდა. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, გაძვირდა იპოთეკური და ავტოსესხი, ლომბარდულსა და სამომხმარებლოზე კი საპროცენტო განაკვეთები მცირედით, მაგრამ მაინც შემცირდა.

სებ-ის მონაცემებზე დაყრდნობით, გთავაზობთ, როგორია შინამეურნეობებისთვის გაცემულ სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი (თებერვლის სტატისტიკა):

იპოთეკურ სესხები – 13.15% (იანვარი – 12.21%);

ავტოსესხი – 24.94 % (იანვარი – 24,45%);

ლომბარდული სესხი – 18.28% (იანვარი – 18.36%);

სამომხმარებლო სესხი – 19.43 % (იანვარი – 19.64 %);

სამომხმარებლო სესხი – უზრუნველყოფილი – 14.46% (იანვარი – 13.82%);

სამომხმარებლო სესხი – არაუზრუნველყოფილი – 21.19% (იანვარი – 21.19 %).

რაც შეეხება ზოგადად სესხებს, სებ-ის სტატისტიკის მიხედვით, 2023 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ზოგადად სესხებზე საპროცენტო განაკვეთები გაზრდილია. კერძოდ, თებერვალში სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.8% შეადგინა, მაშინ როცა, მიმდინარე წლის იანვარში ეს მაჩვენებელი – 12.9% იყო.

2023 წლის თებერვლის მონაცემებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე იანვართან შედარებით, 7,4%-დან 7.9%-მდე გაიზარდა. მათ შორის იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები 8.6%-დან 8.4%-მდე შემცირდა, ხოლო ფიზიკური პირებისთვის 5%-დან 7%-მდე გაიზარდა.

რაც შეეხება ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებს, საპროცენტო განაკვეთები თებერვალში, იანვართან შედარებით, 17%-დან 16.9%-მდე შემცირდა. მათ შორის იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე განაკვეთი 13.9%-დან 14%-მდე გაიზარდა, ხოლო ფიზიკურ პირებზე – პირიქით, შემცირდა ერთ თვეში და 18.9%-დან 18.7%-მდე დაიწია.

# ირაკლი ღარიბაშვილი ანტიკორუფციულ ბიუროზე: „ბიურო ერთი ქოლგის ქვეშ აერთიანებს კორუფციის პრევენციის ყველა ძირითად ფუნქციას“

– ჩვენ მოვაწერეთ ხელი ასოცირების შეთანხმებას, შემდეგ თავისუფალ ვაჭრობას, მივიღეთ უვიზო რეჟიმი და გასულ წელს ჩვენმა ქვეყანამ ოფიციალურად შეიტანა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ანტიკორუფციული ბიუროს პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრემიერის თქმით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული გადაწყვეტილება იყო.

– დიდი პატივია დღეს ჩემთვის თქვენ წინაშე გამოსვლა. ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ჩვენ მოვისმენთ ბატონი რაჟდენისგან მის ხედვას, პრეზენტაციას, თუ როგორი სამსახური უნდა შეიქმნას.

მანამდე, მინდა ძალიან მოკლედ კიდევ ერთხელ შევახსენო ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს მეგობრებს, თუ რა გზა გაიარა ჩვენმა ქვეყანამ ბოლო 10 წლის განმავლობაში. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ მოვაწერეთ ხელი ასოცირების შეთანხმებას, შემდეგ თავისუფალ ვაჭრობას, მივიღეთ უვიზო რეჟიმი და გასულ წელს ჩვენმა ქვეყანამ ოფიციალურად შეიტანა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული გადაწყვეტილება იყო. ასეთივე ისტორიული გადაწყვეტილება იყო შარშან, 17 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა. ეს არის ხმამაღალი აღიარება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მისწრაფებისა და ამავე დროს – ახალი ისტორიული ეპოქის დასაწყისი.

ძვირფასო მეგობრებო, მოგეხსენებათ, რომ ჩვენ შარშან გადმოგვეცა 12 რეკომენდაცია, რომელთა შესრულებაც ჩვენმა ხელისუფლებამ დაიწყო მყისიერად. პარლამენტმა გასწია ძალიან დიდი სამუშაო, შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფები და ჩვენი მხრიდან ყველაფერი გაკეთდა და კეთდება იმისთვის, რომ ხელისუფლების მიერ შესასრულებელი ყველა ვალდებულება იყოს შესრულებული პირნათლად.

ამ 12-პუნქტიან გეგმაში მე-4 რეკომენდაცია გულისხმობს ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერებას. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ანტიკორუფციული ბიურო.

მინდა აღვნიშნო, რომ ბიურო გამოირჩევა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით, რაც ასევე მოიცავს ფინანსურ დამოუკიდებლობასაც. იგი პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს პარლამენტისა და უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე, რაც გულისხმობს მათ წინაშე ყოველწლიურ ანგარიშგებას.

ბიუროს უფროსის კანდიდატები შეირჩა დამოუკიდებელი კომისიის მიერ, რომელიც აერთიანებდა სახელმწიფო უწყებათა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. სწორედ ამ კომისიის მიერ შემოთავაზებული კანდიდატების სიიდან დაინიშნა ბიუროს უფროსი, ბატონი რაჟდენ კუპრაშვილი. მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ და გისურვოთ წარმატებები.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ბიურო ერთი ქოლგის ქვეშ აერთიანებს კორუფციის პრევენციის ყველა ძირითად ფუნქციას. მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ძლიერი კოორდინაციით ანტიკორუფციული პოლიტიკის განსაზღვრა. ბიუროს გააჩნია ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტების შესრულებაზე ზედამხედველობისა და სათანადო რეკომენდაციების გაცემის უფლებამოსილება. ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციები იქნება ჩვენი ქვეყნის ძლიერი ანტიკორუფციული პოლიტიკის განმსაზღვრელი მექანიზმი, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე ისაუბრა ხელისუფლების მიღწევებზე ბოლო 10 წლის განმავლობაში.

– რაც შეეხება იმ მიღწევებს, რომლებიც ჩვენმა ხელისუფლებამ მოიტანა ბოლო 10 წლის განმავლობაში ანტიკორუფციული მუშაობის მიმართულებით და ამ პოლიტიკის გაძლიერების მიმართულებით, – სულ რამდენიმე ფაქტს შეგახსენებთ:




კორუფციის აღქმის ინდექსის 2022 წლის კვლევით, საქართველო 180 ქვეყნიდან 41-ე ადგილს იკავებს. კიდევ ერთი ფაქტი მინდა მოვიყვანო – თრაცე „□რიბერყ ლისკ □ატრიხ 2022?-ის თანახმად, საქართველო ევროპის საუკეთესო ოცეულშია, ხოლო გლობალურ რეიტინგში 194 ქვეყნიდან 33-ე ადგილზეა. აქვე შეგახსენებთ, რომ გლობალური სამართლიანობის პროექტის კანონის უზენაესობის ინდექსით, საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილზეა, ისევე, როგორც ღია ბიუჯეტის კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში არის პირველ ადგილზე 120 ქვეყანას შორის. „კორუფციის კონტროლის“ მიხედვით, ძვირფასო მეგობრებო, საქართველო მსოფლიო ბანკის წევრ 189 ქვეყანას შორის კიდევ 5 ადგილით დაწინაურდა და ევროპაში 21-ე, ხოლო კონტინენტური ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-18 ადგილზე ვართ.

ამ მონაცემებს თუ 2012 წლამდე პერიოდს შევადარებთ, პროგრესი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, – იმ დროისათვის საქართველო მსოფლიოში 62-ე ადგილზე იყო, ბუნებრივია, ძალიან შორს ევროპის საუკეთესო ოცეულისგან.

დღეს კორუფციის კონტროლით საქართველო უსწრებს ევროკავშირის წევრ 11 სახელმწიფოს და ნატოს წევრ 13 ქვეყანას. საქართველო პირველ ადგილზეა კავკასიასა და შავიზღვისპირეთში. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებია ჩვენზე წინ, ჯერჯერობით. ეს პროგრესი, რა თქმა უნდა, თანამიმდევრულია. კორუფციის კონტროლის მხრივ, საქართველომ შეფასების ქულა გაიუმჯობესა და ჩვენ ეს მიღწევები გვაძლევს დამატებით მოტივაციას, რომ კიდევ უფრო მეტი გავაკეთოთ. დღევანდელ მსოფლიოში, სადაც კორუფცია ძლიერი, განვითარებული ქვეყნებისთვისაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, ჩვენ გვჭირდება კოორდინირებული, თანამიმდევრული მუშაობა, ისეთი სახელმწიფოს მშენებლობა, სადაც კორუფცია ვერ იქნება ხელშემშლელი ფაქტორი ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებისთვის. ამიერიდან, ამ მიმართულებით მუშაობის პასუხისმგებლობის უდიდესი წილი დაეკისრა ანტიკორუფციულ ბიუროს. მჯერა, რომ ბიუროს ახალი უფროსი და მისი ყველა თანამშრომელი ძალისხმევას არ დაიშურებენ, რომ კიდევ უფრო მეტ პროგრესს მიაღწიოს ჩვენმა ქვეყანამ ამ მიმართულებით. კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ და გისურვებთ წარმატებებს. დიდი მადლობა, – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა და ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა რაჟდენ კუპრაშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების და ასევე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

# საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ლიეტუვაში საქართველოს პროდასავლურობას ამყარებს

## „დღეს თუ ვინმე წმენდს ნამუსს ჩვენს ქვეყანას, თქვენ ხართ და პირველ რიგში, ის ბიჭები არიან, რომლებიც სისხლს ღვრიან".

მარიამ მჭედლიშვილი



პარლამენტში ყოველწლიური მოხსენების შემდეგ, რომელმაც საქართველოში გულგრილი არავინ დატოვა, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ოფიციალური ვიზიტით ლიეტუვას ეწვევა. ვიზიტი 3 აპრილს დაიწყო. დაგეგმილია მაღალი დონის შეხვედრები პრეზიდენტ გიტანას ნაუსედასთან, პრემიერ ინგრიდა შიმონიტესთან, სეიმის თავმჯდომარე ვიქტორია ჩმილიტე-ნელსენისთან. სტუმარი და მასპინძლები უკრაინელ ლტოლვილებსაც მოინახულებენ.

საქართველოს პრეზიდენტის ახლანდელი ვიზიტი დაემთხვა რთულ პერიოდს, როცა რუსეთი აგრძელებს ფართომასშტაბიან ომს უკრაინაში; დასავლეთი უკრაინის მხარდაჭერაში ერთიანია, ნატო ფართოვდება, დასავლეთის გზაზე დამდგარი საქართველო კი უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს მოხდა არა იმდენად რუსეთის სიფრთხილის, არგაღიზიანების პოლიტიკის გატარების, არამედ, ანტიდასავლური რიტორიკისა და მოქმედებების გამო.

საქართველოს მმართველი გუნდი ჩართულია ანტიდასავლურ პროპაგანდაში, რუსეთის ოფიციალური პირები აქებენ საქართველოს ხელისუფლებას. გამოდის, რომ საქართველოს პრეზიდენტი ერთადერთია ხელისუფლებიდან, რომელიც ცდილობს საზოგადოებასთან ერთად გადაარჩინოს ქვეყნის მომავალი და საგარეო კურსი. ამ კუთხით ლიეტუვაში მისი ახლანდელი ჩასვლა ნიშანდობლივი ხდება.

### ნატოს შემდეგი გენმდივანი შეიძლება ლიეტუვის ან ესტონეთის წარმომადგენელი გახდეს?

ნატოს მორიგი სამიტი ზაფხულში სწორედ ლიეტუვაში იმართება. საქართველოს გაწევრიანება ამ ორგანიზაციაში ჯერჯერობით არ გამოვა, ისევე, როგორც ომში ჩაბმული უკრაინის მიღება. მოლდოვა ჯერ ისევ ნეიტრალურია და მის მიღებაზეც არ მიდის საუბარი. საქართველოს დღის წესრიგშია, გახდეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი და არ ჩამოსცილდეს არჩეულ პროდასავლურ კურსს, არ გამოეთიშოს დასავლელ მოკავშირეებს. პრეზიდენტს ამაში თავისი წვლილი შეაქვს.

ვილნიუსის ნატოს სამიტზე ორგანიზაციის ახალ გენერალურ მდივანსაც დაამტკიცებენ. გენმდივნობის კანდიდატები უმთავრესად ქალები არიან. მათ შორის, ლიეტუვის პრემიერი ინგრიდა შიმონიტე და ესტონეთის მთავრობის თავმჯდომარე კაია კალასი.

გავრცელებული ინფორმაციით, ნატოს გენმდივანს უნდა ჰქონდეს შეურიგებელი პოზიცია რუსეთის მიმართ. გარდა ამისა, ის უნდა ერკვეოდეს „რუსულ მენტალობაში". ლიეტუველი და ესტონელი კანდიდატები ამ კრიტერიუმს სრულად აკმაყოფილებენ. მათთვის საქართველოს პრობლემატიკა და რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიც გასაგები უნდა იყოს.

სალომე ზურაბიშვილის ვიზიტს წინ უძღოდა ლიეტუვის ნატოში შესვლის მე-19 წლისთავის აღნიშვნა. სპეციალურ კონფერენციაზე **ლიეტუვის პრეზიდენტმა** აღნიშნა:

– მოხარული ვარ, რომ ნატოს ქვეყნები მხარს უჭერენ უკრაინას, რომ ალიანსი უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს აღმოსავლეთ ფლანგის უსაფრთხოებას. რაც უნდა მოხდეს, ყველანი ერთად უნდა დავრჩეთ და ერთად გავამაგროთ ჩვენი პოტენციალი, როგორც შეკავების საიმედო ფაქტორი. სწორედ ამიტომ დიდ იმედს ვამყარებ ვილნიუსის მომავალ სამიტზე. მჯერა, რომ ის გახდება ისტორიული მოვლენა ალიანსისათვის, რომელსაც სჭირდება გრძელვადიანი გადაწყვეტილებები გაფართოებისა და პოტენციალის ზრდის შესახებ.

### აგრესორი რუსეთი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ახალ გეგმებს აწყობს

სწორედ ახლა პუტინმა დაამტკიცა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია. მასში სახელმწიფოების გარდა, ნახსენებია რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ოკუპანტი სახელმწიფო ამ მიწების რუსეთთან ინტეგრაციის გაღრმავებას გეგმავს, თან ამ ძალადობას „საერთაშორისო სამართლის" მოშველიებით ნიღბავს, ტერიტორიებს კი „სახელმწიფოებს" უწოდებს.

კონცეფციაში ნათქვამია, რომ რუსეთი „აპირებს პრიორიტეტულად მიიჩნიოს აფხაზეთის რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ყოვლისმომცველი მხარდაჭერა და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ამ სახელმწიფოების ხალხების ნებაყოფლობითი არჩევანის ხელშეწყობა რუსეთთან ინტეგრაციის გაღრმავების საფუძველზე".

რუსეთის ამ და სხვა უკანონო და ძალადობრივ ქმედებებზე რეაგირებას ვერ მოახდენს საქართველოს პოლიტიკუმი, რომელიც დასავლეთს მტრად აცხადებს. ამის წინააღმდეგ საჭიროა პრეზიდენტის და საზოგადოების აქტიურობა.

საქართველოში დასავლეთის დემონიზაცია არ შემწყდარა. გარკვეული ძალები დასავლეთს ისევ ადანაშაულებენ იმაში, თითქოს მას საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა უნდა.

ამაზე 31 მარტს კომენტარი გააკეთა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ.



**პაველ ჰერჩინსკი:**

– ევროკავშირს არასდროს მოუთხოვია „მეორე ფრონტის" გახსნა. ეს, უბრალოდ, აბსურდია. გვესმის საქართველოს ძალიან რთული გეოპოლიტიკური სიტუაცია, ვიცით საქართველოს ტრაგიკული ისტორია... გვესმის, რომ საქართველოს ტერიტორიის 20% საქართველოს მთავრობის კონტროლს მიღმაა. იმავდროულად, ჩვენ, ევროკავშირმა, მკაფიოდ ავირჩიეთ მხარე და მტკიცედ ვდგავართ უკრაინის თანამოაზრე ქვეყნებთან ერთად და საქართველო ერთ-ერთი მათგანია.

– ფაქტია, რომ თბილისი და მოსკოვი „მეორე ფრონტის" თემაზე ერთ ენაზე საუბრობენ... რაც უნდა გაავრცელოთ მეორე ფრონტის კონსპირაციული თეორიები, ხალხმა კარგად იცის, რომ ევროკავშირის შექმნის იდეა სწორედ მშვიდობას ემსახურებოდა და არა ომს, – განაცხადა თავის ყოველწლიურ მოხსენებაში სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტის გამოსვლამ „ქართული ოცნება" გაანაწყენა, იყო გამოხმაურებები. თუმცა მისმა წევრებმა ვერ უპასუხეს პრეზიდენტის მიერ დასმულ შეკითხვებს და ისინი რიტორიკულად დარჩა. ვერავინ განმარტა, რატომ იმეორებს მმართველი პარტია კრემლის გზავნილებს, რატომ უტევს დასავლეთს, რატომ ამბობს უარს დასავლურ კურსზე.

### პრეზიდენტის გზავნილები

– სად დგახართ და რატომ? რატომ ჩამოშორდით ხალხის ნებას? – ყოველწლიური მოხსენებისას გახმიანებული პრეზიდენტის ეს რიტორიკული კითხვები, ალბათ, რეფრენად გაჰყვება მის შემდგომ გამოსვლებსა და მოქმედებებსაც.

ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა სალომე ზურაბიშვილის შეხედულებებს იზიარებს. პრეზიდენტიც ამბობს, რომ საზოგადოება შეჯერებულია ევროინტეგრაციასა და უკრაინისადმი სოლიდარობაზე.

სალომე ზურაბიშვილი აპირებს, საზოგადოებასთან ერთად გაიყვანოს ქვეყანა იმ სამყაროში, სადაც დაცულია საქართველოს იდენტობა და დამოუკიდებლობა და დაასრულოს რუსული წნეხი.



საზოგადოების მოსაზრებები ზოგიერთმა პოლიტიკოსმაც გამოხატა.

დამოუკიდებელი დეპუტატი **თეონა აქუბარდია:**

– კრიტიკულ დროს პრეზიდენტმა სწორი პოზიცია დაიჭირა. სალომე ზურაბიშვილმა თქვა, ეს ის გუნდია, რომელიც საქართველოს დასავლეთს აშორებსო.



პარტია „მოქალაქეების" თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ალეკო ელისაშვილმა** პრეზიდენტს მიმართა:

– დღეს თუ ვინმე ნამუსს წმენდს ჩვენ ქვეყანას, ეს თქვენ ხართ და, პირველ რიგში, არიან ჩვენი ბიჭები, რომლებიც სისხლს ღვრიან (უკრაინაში).

პრეზიდენტსაც და სხვა ადამიანებსაც დიდი შრომა მოუწევთ საქართველოსთვის ბოლოდროინდელი სირცხვილის ჩამორეცხვისათვის. საქართველო დააზიანა ბოლოდროინდელმა მკვეთრად ანტიდასავლურმა ნაბიჯებმა და პრორუსულმა გამოხდომებმა, გააქტიურებულმა კრემლის პროპაგანდამ, პუტინისტებისა და დუგინისტების თავგასულობამ.

საზოგადოება



# ანჩის სახარება საერთაშორისო სტანდარტებით აღიწერა

ეროვნულ არქივში ხელნაწერთა აღწერილობების მორიგი, IV ტომი, გამოსაცემად მომზადდა. ამ დროისათვის საერთაშორისო სტანდარტებით უკვე 400 ხელნაწერია აღწერილი.

ახლად აღწერილ ხელნაწერებს შორისაა: ანჩის სახარება, კალმახის ციხის სახარება, „წმინდა გიორგის ლექსად თქმული ცხოვრება", ლავსაიკონი, შიომღვიმის გულანი, ასკეტიკური თხზულებები, ჰიმნოგრაფიული კრებული... მათზე მუშაობისას გამოვლინდა აქამდე უცნობი ანდერძ-მინაწერები, გადათარიღებული და დაზუსტებულია ხელნაწერთა თარიღები, რიგ შემთხვევაში ხელახლა მოხდა ცალკეულ კრებულებში შესული ტექსტების იდენტიფიცირება.

ეროვნულ არქივში დაცულია ქართულ ხელნაწერთა ერთ-ერთი უმდიდრესი ფონდი, რომელშიც 1000-მდე ხელნაწერი შედის. მათ აღწერილობაზე მუშაობის განახლებამდე მეცნიერები 1950 წელს დაბეჭდილი აღწერილობებით ხელმძღვანელობდნენ. 2014 წელს ეროვნულ არქივში დაიწყო პროექტი „ხელნაწერთა ანალიტიკური კატალოგი" და შეიქმნა ხელნაწერთა აღწერილობის ახალი სტანდარტი. აღწერილობის პირველი, მეორე და მესამე ტომები 2016-2019 წლებში გამოიცა. მეოთხე ტომში იმ ხელნაწერთა აღწერები შევა, რომლებსაც კოლექციაში ნომრები 301-დან 400-ის ჩათვლით აქვთ მინიჭებული.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# რუსთავში მომხმარებელმა მაღაზიის მენეჯერს სცემა

რუსთავში მაღაზიის მენეჯერს სცემეს. აღნიშნულ ინფორმაციას „ინფო რუსთავი" ავრცელებს.

შარტავას გამზირზე, სურსათის ერთ-ერთ მაღაზიაში, 50 წლამდე მამაკაცმა პროდუქტის მოპარვა სცადა. ფაქტის შესახებ შეიტყო მენეჯერმა, რის შემდეგაც მამაკაცს მოუწოდა, პროდუქტის საფასური გადაეხადა. მენეჯერსა და მომხმარებელს შორის საუბარი კამათში გადაიზარდა რა დროსაც მენეჯერს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია. მამაკაცი ადგილზე დააკავეს.

# გორის ერთ-ერთი სასტუმროდან ბრენდული წინდები, ოქროს სამკაული და 20 ლარი მოიპარეს

გორის ერთ-ერთი სასტუმროდან ბრენდული წინდები, ოქროს სამკაული და 20 ლარი მოიპარეს. ქურდობის ფაქტი სასტუმრო „ჯორჯია გოლდში" მოხდა. როგორც წყარო „ტვ მონიტორინგს" უყვება, ქურდობა აუზის გასახდელში მოხდა, სადაც ვიდეო კამერები დამონტაჟებული არ არის. ფაქტზე გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ 177-ე, ქურდობის მუხლით დაიწყო, თუმცა დაკავებული ამ დრომდე არავინ არის.

# სალომე ზურაბიშვილი „ქართულ ოცნებას" ივანიშვილის დავალებით დაეტაკა?!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– მე ასე მგონია, რომ ზურაბიშვილი ამას თავის თავზე არ აიღებს. მას უნდა გამოჩნდეს პროევროპელ პოლიტიკოსად, მაგრამ ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

***– სწორედ ამიტომ აკრიტიკებს ოპოზიციის ერთი ნაწილი, მისი არ გვჯერაო, თუ უნდა, რომ დავუჯეროთ, მაშინ შეიწყალოს სააკაშვილი და გვარამიაო.***

– ოპოზიციას ასეთ რამეს ვეტყვი, სტალინის გამოთქმაა ასეთი, „თქვენთვის სხვა მწერლები არ მყავს", მათთვის სხვა პრეზიდენტი არ გვყავს, რაც არის, ეს არის.

***– რას იტყვით ოპოზიციაზე, რამდენად კონსტრუქციული იქნება და ითანამშრომლებს ხელისუფლებასთან? ნაწილი ბოიკოტის რეჟიმშია, ნაწილი აქციებს აანონსებს, რა მოლოდინი გაქვთ?***

– აქციებს საქართველოში როდის მოაქვს შედეგი, ხომ ვნახეთ? ერთი გავრილოვის ლამის შემდეგ და მეორე ამ კანონის შემოგდების მერე. ანუ უნდა იყოს კონკრეტული მიზეზი, რომ გულწრფელად გაბრაზებული ხალხი გამოვიდეს ქუჩაში თვითონ და არა ახლა მოუწოდოს ოპოზიციის ვილაცა ლიდერმა, რომ გამოდით და რადგან დღეს 9 აპრილია, მოდით დადექით ჩემთან. მსგავს სიტუაციაში, დარწმუნებული ვარ, ბევრი ხალხი არ გავა და ამას არც არაფერი მოყვება. ეს ხდება ხალხის თვითორგანიზებით. განსაკუთრებით ახალგაზრდობაა ამ დროს ძალიან არაკომფორტული ხელისუფლებისთვის, რადგან ახალგაზრდობის წინააღმდეგ წასვლა ყოველთვის რთულია, მათ წინააღმდეგ უხეშ ძალას ვერ მიმართავ.

***– ვადამდელი არჩევნების თემა გადაიდო?***

– დარწმუნებული ვარ, გადაიდება. ამ ეტაპზე არც ოპოზიციას არ აწყობს ვადამდელი. ამ ეტაპზე რეალურად ხელისუფლება კი დასუსტდა ამ კანონთან დაკავშირებული ამბების გამო, მაგრამ ოპოზიცია გაძლიერდა ამით?! ეს შეკითხვა უნდა დავსვათ. ხელისუფლებას რომ აკლდება ქულები, ის ეგრევე ოპოზიციის ყულაბაში ხომ არ მიდის. ეს ქულები მიდის ისევ და ისევ გადაუწყვეტელ ამომრჩეველთან. რეალურად ოპოზიციას არაფერი არ ემატება. ხელისუფლებას კი ყოველთვის აქვს ადმინისტრაციული რესურსი, თუმცა გაისად ის იქნება ძალიან დიდი დილემის წინაშე, ამ ოპოზიციასთან წაგება არ უნდა, მეორე მხრივ, ხელისუფლებაში დარჩენა მეოთხე ვადით, ეს ყველანაირ ზღვარს გადაცდება.

„სულ შეთქმულების თეორიებში ვცხოვრობთ, ხან ვინ ცხადდება ივანიშვილის პროექტად და ხან – ვინ. აქამდე გვესმოდა, რომ გახარია იყო ივანიშვილის პროექტი, ასე არ აღმოჩნდა. ახლა გვესმის, რომ ყიფიანს ამზადებს ივანიშვილი პრემიერად. ამ ჭორებში და მითქმა-მოთქმებში გადის დრო და ამასობაში არჩევნებიც მოვა"

***– ამ დასუსტებული ხელისუფლების პირობებში არის ახალი ოპოზიციური ძალის აღმოცენების შანსი?***

– ნიშა კი არსებობს, მაგრამ მოგეხსენებათ, ამას სჭირდება ფული, ფული და კიდევ ერთხელ დიდი ფული. სულ შეთქმულების თეორიებში ვცხოვრობთ, ხან ვინ ცხადდება ივანიშვილის პროექტად და ხან – ვინ. აქამდე გვესმოდა, რომ გახარია იყო ივანიშვილის პროექტი, ასე არ აღმოჩნდა. ახლა გვესმის, რომ ყიფიანს ამზადებს ივანიშვილი პრემიერად. ამ ჭორებში და მითქმა-მოთქმებში გადის დრო და ამასობაში არჩევნებიც მოვა.

# შეეცვალოს პატიმრობა გირაოთი — ლაზარე გრიგორიადისის ადვოკატმა სააპელაციოს მიმართა



მარტის აქციაზე დაკავებული 21 წლის ლაზარე გრიგორიადისის მიმართ საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება დაცვის მხარემ სააპელაციოში გაასაჩივრა.

უფლებადამცველმა განცხადება უკვე შეიტანა სასამართლოში და ახლა საინტერესოა, მიიღებს თუ არა წარმოებაში სარჩელს მეორე ინსტანცია. დაცვის მხარე მოსამართლეთა კოლეგიის მხრიდან პატიმრობის გირაოთი შეცვლას ითხოვს.

ადვოკატი ამბობს, რომ ლაზარეს საქმეში ერთადერთი მტკიცებულება პოლიციელების ჩვენებაა და სხვა საყრდენი სახელმწიფო ბრალდებას 21 წლის ახალგაზრდის წინააღმდეგ არ აქვს.

ხვალ უფლებადამცველები დაკავებულ 21 წლის ახალგაზრდას გლდანის მე-8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოინახულებენ. როგორც ცნობილია, ლაზარე გრიგორიადისი დუმილის უფლებას იყენებს.

– გავასაჩივრეთ განჩინება და მოვითხოვთ ჩვენი საჩივრის დასაშვებად ცნობას და შემდეგ პირველი ინსტანციის განჩინების გაუქმებას. ყველაზე მკაცრი აღკვეთი ღონისძიების პატიმრობის შეცვლას გირაოთი. რითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაასაბუთა პატიმრობა და გამოუტანა ყველაზე მკაცრი აღკვეთი ღონისძიება ეს არ არის დასაბუთებული, ეს არის ზოგადი, კონკრეტული არგუმენტით არ არის დასაბუთებული, თუ რატომ ვერ უზრუნველყოფდა გირაო, რასაც ვითხოვდით, აღკვეთი ღონისძიების მიზნებს.

მთელი რიგი ექსპერტიზებია ჩასატარებელი, რაც შეეხება იმას, რომ აღიარება მისცა, პირველი – ბრალდებულის აღიარება ვერ შეფასდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. მეორე – მე არ ვიცი, არ დავსწრებივარ რა ვითარებაში მისცა ჩვენება და რა ვითარებაში აღიარა ბრალი.

პირველი წარდგენისას ბრალდებულმა თვითონ გვითხრა, რომ გამოიყენებდა დუმილის უფლებას, რადგან ჩვენება მისცა მაშინ, როდესაც იგი იყო არეული და ვუთხარით, რომ ამის უფლება ჰქონდა. პენიტენციურში ადვოკატების მონახულების შემდგომ იქნება ნათელი, რა მოხდა, რატომ მისცა ნაწილობრივი აღიარება და დღეს რა პოზიციაზეა, – ამბობს ადვოკატი.

შეგახსენებთ, რომ 31 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ მარტის აქციებზე დაკავებულ ლაზარე გრიგორიადისს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. უწყება მას „რუსული კანონის" გასაპროტესტებლად გამართულ აქციაზე პოლიციელებზე თავდასხმასა და სხვისი ნივთების დაზიანებას ედავება.

შსს-ს განცხადებით, მან 7 მარტს ორჯერ ისროლა ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი სამართალდამცველების მიმართ, რის შედეგადაც რამდენიმე პოლიციელი დაშავდა. ასევე, დაწვა პოლიციის კუთვნილი მანქანა.

საქმეზე გამოძიება სსკ-ის 353-ე პრიმა და 187-ე მუხლებით მიმდინარეობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, დაკავებულს 7-დან 11 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

# ომბუდსმენი ლაზარე გრიგორიადისის საქმეს ზედამხედველობას გაუწევს



სახალხო დამცველის აპარატი, მარტის საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას პოლიციელების ჯანმრთელობის ხელყოფისა და სახელმწიფო ქონების განადგურების ფაქტებზე ბრალდებულ ლაზარე გრიგორიადისის საქმეს ზედამხედველობას გაუწევს.

ინფორმაციას სახალხო დამცველი ლევან იოსელიანი სოციალურ ქსელში ავრცელებს.

მისივე განცხადებით, სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ახლახან მოინახულა ლაზარე გრიგორიადისი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ესაუბრა მას როგორც მისი დაკავების, ისე დაწესებულებაში განთავსების პირობებზე.

– სახალხო დამცველის აპარატი, საქმის მიმდინარეობის პროცესში, ზედამხედველობას გაუწევს როგორც მისი საპროცესო უფლებების დაცვის, ისე სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციის საკითხს, – აღნიშნავს იოსელიანი „ფეისბუქზე".

# შსს-მ „ქურდულ სამყაროსთან" კავშირში მყოფი 4 პირი დააკავა, ერთ პირს კი ბრალი დაუსწრებლად წარუდგინა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან" კავშირში მყოფი 4 პირი – „ხავთასა", „ლეკვი", „ხონსკი" და „მოლა" დააკავა, ერთ პირს კი ბრალი დაუსწრებლად წარუდგინა.

უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული პირები შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

მათივე ცნობით, დაკავებულები წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის არიან ნასამართლევი.

ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერისთვის დაკავებული არიან: 1977 წელს დაბადებული ი.ხ. (მეტსახელად „ხავთასა"), 1983 წელს დაბადებული ზ.გ. (მეტსახელად „ლეკვი") და 1976 წელს დაბადებული ლ.ა. (მეტსახელად „მოლა"). 1978 წელს დაბადებული მ.ჩ. (მეტსახელად „ხონსკი") კი „კანონიერი ქურდისთვის" მიმართვის ბრალდებით არის დაკავებული.

რაც შეეხება 1977 წელს დაბადებულ ჯ.კ.-ს, ვინაიდან იგი საზღვარგარეთ იმყოფება, მას „კანონიერი ქურდობის" ფაქტზე ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.

დანაშაულები 6-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ი.ხ.-ს, ზ.გ.-ს და ლ.ა.-ს, ფინანსური დავის ნიადაგზე, დაპირისპირება მოუხდათ მ.ჩ.-სთან, რის გამოც აღნიშნული დავის მოგვარება ე.წ. ქურდული გარჩევის გზით სცადეს და მას ფიზიკურად გაუსწორდნენ.

თავის მხრივ, მ.ჩ.-მ მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით საქმის კურსში ჩააყენა საზღვარგარეთ მყოფი ქართველი „კანონიერი ქურდი" ჯ.კ. (მეტსახელად „ჯეირანა"), რომელმაც მოდავე მხარეებს ე.წ. ქურდული გარჩევის მოწყობა მოსთხოვა.

თბილისში, ლ.ა.-ს საცხოვრებელ ბინაში მოეწყო ე.წ. ქურდული გარჩევა, რომელშიც მოდავე მხარეები მონაწილეობდნენ, ხოლო „კანონიერი ქურდი" ჯ.კ. შეხვედრაში დისტანციურად ჩაერთო.

პოლიციამ, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერი ქურდს" უკავშირდებოდნენ.

„კანონიერი ქურდისთვის" მიმართვის და ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პირველი პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით, 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით და 223-ე მე-4 პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს, – აღნიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# თაღლითი მაკლერები ნაქირავებ ბინებს აგირავებდნენ, ზარალი მილიონს აღწევს




საუკუნის აფიორა საქართველოში – გამოძიების ინფორმაციით, 6-მა ქალმა „თაღლითი მაკლერების" დაჯგუფება შექმნა, ისინი წინასწარ ნაქირავებ ბინებს კოლოსალურ თანხებად აგირავებდნენ.

პოლიციის ფაილების მიხედვით, ანი სოფრომაძემ, სოფიკო ბარკალაიამ, ნინო ქიტიაშვილმა, ცისანა შერგელაშვილმა, ელენე მაისურაძემ და ეკა გურულმა „თაღლითი მაკლერების" დაჯგუფება შექმნეს და უბინაოდ, ქუჩაში 50-მდე ადამიანი დატოვეს.

ეკა გურულმა ქვეყნიდან გაქცევა მოასწრო, დანარჩენებს კი, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ციხეში 10 წლის გატარება მოუწევთ.

საქმეში დევს აღიარებითი ფარული ჩანაწერებიც, რომელიც დაზარალებულების ჩვენებებთან ერთად ბრალდებულების წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულებაა.

გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ერთ-ერთი ბრალდებული ხელს ნოტარიუსებსაც ადებს. ქალი ამტკიცებს, რომ „თაღლითი მაკლერების" დაჯგუფებასთან კონკრეტული ნოტარიუსები თანხის სანაცვლოდ უკანონო გარიგებაში იმყოფებოდნენ და თითო ხელშეკრულებაში ისინი, ქრთამს 400 დოლარს იღებდნენ.

# პროკურატურა – „ამბასადორში" ხანძრის გაჩენის ფაქტზე დაკავებულს ბრალდება წარედგინა – დაინიშნება ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს მის ფსიქიკურ მდგომარეობას შეისწავლის



საქართველოს პროკურატურამ სასტუმრო „ამბასადორში" ხანძრის გაჩენის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის ცნობით, იმის დასადგენად, შეეძლო თუ არა ბრალდებულს დანაშაულის ჩადენის მომენტში სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედებები, დაინიშნება ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს მის ფსიქიკურ მდგომარეობას შეისწავლის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 31 მარტს, დაახლოებით 18:00 საათზე, სასტუმრო „ამბასადორში", ბრალდებულმა თავისსავე ნომერში სხვადასხვა ნივთს ცეცხლი წაუკიდა, რომლითაც გამოწვეული ძლიერი ხანძრით სასტუმროს მე-3 და მე-4 სართული დაზიანდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 31 მარტს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (ნივთის დაზიანება ცეცხლის წაკიდებით) წარედგინა.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

იმის დასადგენად, შეეძლო თუ არა ბრალდებულს დანაშაულის ჩადენის მომენტში სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედებები, დაინიშნება ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს მის ფსიქიკურ მდგომარეობას შეისწავლის.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

# ქუთაისში ერთმანეთს სამხედრო და მსუბუქი მანქანები შეეჯახნენ

ავტოსაგზაო შემთხვევა ქუთაისში. ჭავჭავაძის გამზირზე ავტომობილი, რომლითაც სამხედროები გადაადგილდებოდნენ, და მსუბუქი მანქანა ერთმანეთს შეეჯახნენ.

ადგილზე მობილიზებულია საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები და სასწრაფოს ჯგუფი. ამ დროისთვის დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

# მუხათგვერდის სასაფლაოზე ნაპოვნია 47 წლის მამაკაცის ცხედარი

მუხათგვერდის სასაფლაოზე 47 წლის კაცი გარდაცვლილი იპოვეს. ცნობილია, რომ ის საკუთარმა ძმისშვილმა იპოვა.

ცხედარი ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში იყო გადასვენებული. არსებული ინფორმაციით, კაცი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

საუდის არაბეთის საელჩო საქართველოში,
თბილისში,
აცხადებს კონკურსს საელჩოს რეზიდენციის
დასუფთავების, დალაგების, შეკეთების, მოწესრიგების,
მწერებთან ბრძოლის სერვისებზე.
კონკურსში მონაწილეობის მსურველები,
გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ
შემდეგ ნომრებზე: (+995322009504 +995322009505).

# წყალტუბო-ქუთაისის გზაზე მკვლელობა მოხდა, გარდაცვლილია ორი ახალგაზრდა

წყალტუბო-ქუთაისის გზაზე მკვლელობა მოხდა, გარდაცვლილია ორი ახალგაზრდა. არსებული ინფორმაციით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ სამ მეგობარს ერთმანეთთან შელაპარაკება მოუვიდა, რა დროსაც, ერთ-ერთმა სიტუაციის განმუხტვის მიზნით რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო. ცეცხლსასროლი იარაღიდან სავარაუდოდ შემთხვევით, ერთხელ გასროლილ ტყვიას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# ავარიაში პოლიციის მაღალჩინოსანი დაიღუპა

ახალგორი-ცხინვალის გზაზე, სოფელ ზახორთან, ავარია მოხდა. ავარიის შედეგად ახალგორის პოლიციის უფროსი, ლაშა თუაევი დაიღუპა.

დაშავდა ასევე ერთი პირი. დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს.

# ციებ-ცხელება კიევო-პეჩორსკის ლავრის გარშემო



კიევო-პეჩორსკის ლავრის გარშემო დაძაბულობამ იმატა. ადგილობრივი მღვდლების ნაწილმა უარი განაცხადა დამორჩილებოდა უკრაინის მთავრობის დადგენილებას და ლავრა დაეტოვებინა. მეტიც, მათ ე.წ. მორწმუნეებს ლავრის დაცვისაკენ მოუწოდეს. პარალელურად რუსულმა მედიამ მთელ მსოფლიოში გაავრცელა დეზა უკრაინაში სინდისის თავისუფლების შევიწროების შესახებ.

– ეს იყო რუსული სპეცსამსახურების მზაკვრული სვლა, – აცხადებს რადიო „თავისუფლება".

დავიწყოთ იქიდან, რომ უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია (მოსკოვის საპატრიარქოსი) გავსებულია რუსეთის აგენტებით. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ეს ნათლად გამოჩნდა. დონბასში არსებულმა უკრაინის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ (მოსკოვის საპატრიარქოსი) რუსებს მხარდაჭერა გამოუცხადა. მეტიც, ბევრი მღვდელი და ზოგი ბერიც მოსახლეობას უკრაინის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლებისაკენ მოუწოდებდა. 2014 წელს, როცა ომი დაიწყო, მღვდლებმა და ბერებმა ე.წ. ჯვრით მსვლელობის მოწყობაც სცადეს. ამან მოთმინების ფიალა აავსო. უკრაინელმა ჯარისკაცებმა ანაფორაში გამოწყობილ ჩეკისტებს ცეცხლი გაუხსნეს. ამან მოღალატეებზე გარკვეულწილად იმოქმედა. მიუხედავად ამისა, ძირგამომთხრელი აქციები არ წყდებოდა. უკრაინის უშიშროების სამსახურმა უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესის (მოსკოვის საპატრიარქოსი) მღვდლებს არა ერთხელ აღმოუჩინა პროკლამაციები შეიარაღებული აჯანყების მოწყობისადმი მოწოდებით. მეტიც, ზოგიერთი ეკლესია-მონასტერი იარაღის საწყობად იქნა გადაქცეული, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

პრეზიდენტი ზელენსკი კარგა ხანს თავს იკავებდა ე.წ. ეკლესიის მიმართ რადიკალური ზომების გატარებისაგან. მაგრამ ჭირმა თავი არ დამალა: კიევო-პეჩორსკის ლავრა გადაიქცა ანტიუკრაინული პროპაგანდის ცენტრად.

პრეზიდენტი ზელენსკიც იძულებული გახდა, ბოლოს და ბოლოს მეტ-ნაკლებად რადიკალური ზომები მიეღო.

29 მარტს უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიას (მოსკოვის საპატრიარქოსი) კიევო-პეჩორსკის ლავრის არენდის ვადა ეწურებოდა. ხელისუფლებაც უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომელიც ფაქტიურად მოსკოვის საპატრიარქოს ფილიალს წარმოადგენდა, ლავრის დაცლა მოსთხოვა. პასუხად ზოგიერთმა ეპისკოპოსმა მრევლს ლავრის დაცვისაკენ მოუწოდა. აქ ნათლად გამოჩნდა, რომ მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინაში მომხრეები არ ჰყავს. ლავრის დასაცავად მხოლოდ 300 დედაბერი შეიკრიბა. ისინი ძალზე აგრესიულად იქცეოდნენ და შეტაკების პროვოცირებას ცდილობდნენ.

უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიას (მოსკოვის საპატრიარქოსი) უდიდესი დარტყმა მიაყენა რუსეთის საპატრიარქოსთან კავშირმა. მას უკრაინაში არა ჰყავს მომხრეები. შესაბამისად, შეტაკების ინსპირირებას რელიგიურ საფარველში გახვეული პროვოკატორები ველარ შეძლებენ. მათ მოუწევთ კიევო-პეჩორსკის ლავრის დატოვება და ეს მშვიდობიანად, ყოველგვარი ძალადობის გარეშე მოხდება.

## ტონი ბლინკენმა მიმართა დემოკრატიისათვის სამიტის მონაწილეთ

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ტონი ბლინკენმა მიმართა დემოკრატიისათვის სამიტის წევრებს. მან გაიხსენა ბუჩის ერთი წლის წინანდელი ტრაგედია:

– ბუჩა ერთადერთი შემთხვევა როდია! რუსეთმა უკრაინაში ამაზრზენი დანაშაულები ჩაიდინა და ამის გამო პასუხი უნდა აგოს, – თქვა ბლინკენმა.

## გენერალ მილის პროგნოზი



აშშ-ის გაერთიანებული შტაბების უფროსმა, გენერალმა მილიმ განაცხადა, რომ უკრაინას გააჩნია ყველა საშუალება საიმისოდ, რომ წარმატებული კონტრშეტევა განახორციელოს. ამავე დროს გენერალმა ეჭვი გამოთქვა იმის გამო, რომ უკრაინელები ყველა თავიანთი ტერიტორიის გათავისუფლებას მოკლე დროში შეძლებენ.

## დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 3.616, ББМ – 6.981, არტილერია – 2.683, РСЗО – 527, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა – 279, თვითმფრინავები – 306, ვერტმფრენები – 291. განადგურებულია – 174.000 ოკუპანტი.

*მოამზადა ნიკა თეგზაძემ*

## სასამართლომ კიევო-პეჩორსკის ლავრის წინამძღვარს შინაპატიმრობა მიუსაჯა




კიევის სასამართლომ კიევო-პეჩორსკის ლავრის წინამძღვარი, მიტროპოლიტი პავლო (ლებედი) შინა პატიმრობაში აიყვანა. პავლოს ბრალი ედება რელიგიური შუღლის გაღვივებასა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობაში.

მიტროპოლიტი პავლო ფრიად ოდიოზური ფიგურაა. ფუფუნებისადმი მიდრეკილების გამო მას პაშკა მერსედესი შეარქვეს.

პავლო მკვეთრად გამოხატულ ანტიუკრაინულ პოზიციებზე დგას. ის ხერსონის დაცემას მიესალმა. უკრაინის უშიშროებამ დააფიქსირა პავლოს სატელეფონო საუბარი მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელთან. პავლო კმაყოფილებას გამოთქვამდა რუსების მიერ ხერსონის აღების გამო.

კიევო-პეჩორსკის ლავრის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟისას მიტროპოლიტი რელიგიური შუღლის გაღვივებას შეეცადა. მან მორწმუნეებს ლავრაში გამაგრებისაკენ მოუწოდა. პასუხად სასამართლომ პავლოს 60 დღით შინა პატიმრობა მიუსაჯა.

## ომი უკრაინაში



უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება. ბრძოლის მთავარი ეპიცენტრებია ბახმუტი, ავდეევკა, მარინკა.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში ოკუპანტების ტაქტიკა შეიცვალა. უკრაინელთა კონტრშეტევების შედეგად ბახმუტის დიდი ნაწილის გაწმენდა მოხერხდა. მართალია რუსებმა ქალაქის ცენტრში შესვლა და რამდენიმე სახლის დაკავება შეძლეს, მაგრამ ეს სახლები რუსი ჯარისკაცებიანად აფეთქდნენ. ბახმუტისათვის ალყის შემორტყმა ოკუპანტებმა ვერ შეძლეს. ქალაქს კვლავ უკრაინელები აკონტროლებენ.

მარინკასა და ავდეევკასთანაც ბრძოლებია. რუსების შეტევები ბახმუტზე შემცირდა, მაგრამ გაიზარდა იერიშები ავდეევკასა და მარიკნაზე. ოკუპანტები ცდილობდნენ ამ ქალაქების ალყაში მოქცევას, მაგრამ ეს მცდელობა ჩაიშალა. მეტიც, რუსების დაჟინებულმა შეტევებმა მათ სიქა გააცალა.

– იქმნება კარგი წინაპირობები უკრაინელთა ფართომასშტაბიანი კონტრშეტევისათვის, – აცხადებს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი, პოლკოვნიკი ოლეგ ჟდანოვი.

ამრიგად, გააფთრებული შეტევების მიუხედავად, ოკუპანტებმა დონბასის ფრონტზე კვლავაც ვერ წაიწიეს წინ. რაც შეეხება ვითარებას უკრაინის სამხრეთში, იქ სიტუაცია განსხვავებულია. რუსი ოკუპანტები ძირითადად თავდაცვით ბრძოლებზე არიან გადასულნი, უკრაინელები კი ჯერჯერობით პარტიზანული ქმედებებით იფარგლებიან.


## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.


## შედეგები

### სპორტი

1 აპრილი

ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

სიტი-ლივერპული ........ 4:1
არსენალი-ლიდსი ........ 4:1
ბორნმუთი-ფულემი ........ 2:1
ბრაიტონი-ბრენტფორდი ........ 3:3
კრ.პალასი-ლესტერი ........ 2:1
ნოტინგემი-ვულვზი ........ 1:1
ჩელსი-ასტონ ვილა ........ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 29 | 23 | 3 | 3 | 70-27 | 72 |
| 2.სიტი | 28 | 20 | 4 | 4 | 71-26 | 64 |
| 3.მანჩესტერი | 26 | 15 | 5 | 6 | 41-35 | 50 |
| 4.ტოტენჰემი | 28 | 15 | 4 | 9 | 52-40 | 49 |
| 5.ნიუკასლი | 26 | 12 | 11 | 3 | 39-19 | 47 |
| 6.ბრაიტონი | 26 | 12 | 7 | 7 | 49-34 | 43 |
| 7.ბრენტფორდი | 28 | 10 | 13 | 5 | 46-37 | 43 |
| 8.ლივერპული | 27 | 12 | 6 | 9 | 48-33 | 42 |
| 9.ასტონ ვილა | 28 | 12 | 5 | 11 | 37-39 | 41 |
| 10.ფულემი | 28 | 11 | 6 | 11 | 39-39 | 39 |
| 11.ჩელსი | 28 | 10 | 8 | 10 | 29-30 | 38 |
| 12.კრ.პალასი | 29 | 7 | 9 | 13 | 24-39 | 30 |
| 13.ვულვზი | 29 | 7 | 7 | 15 | 23-42 | 28 |
| 14.ნოტინგემი | 28 | 6 | 9 | 13 | 23-50 | 27 |
| 15.ბორნმუთი | 28 | 7 | 6 | 15 | 27-55 | 27 |
| 16.ლიდსი | 28 | 6 | 8 | 14 | 36-48 | 26 |
| 17.ევერტონი | 28 | 6 | 8 | 14 | 22-40 | 26 |
| 18.ლესტერი | 28 | 7 | 4 | 17 | 39-49 | 25 |
| 19.ვესტ ჰემი | 26 | 6 | 6 | 14 | 24-34 | 24 |
| 20.საუთჰემპტონი | 28 | 6 | 5 | 17 | 23-46 | 23 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ლუთონი-უოტფორდი ........ 2:0
პრესტონი-ბლექპული ........ 3:1
ბირმინგემი-ბლექბერნი ........ 1:0
ბრისტოლი-რედინგი ........ 1:1
ვესტ ბრომვიჩი-მილუოლი ........ 0:0
კარდიფი-სუონსი ........ 2:3
ქოვენთრი-სტოკი ........ 0:4
ნორვიჩი-შეფილდი ........ 0:1
უიგანი-ქპრ ........ 1:0
ჰადერფილდი-მიდლსბრო ........ 4:2
ჰალი-როტერჰემი ........ 0:0

### გერმანია. ბუნდესლიგა

ვოლფსბურგი-აუგსბურგი ........ 2:2
ლაიფციგი-მაინცი ........ 0:3
უნიონი-შტუტგარტი ........ 3:0
ფრაიბურგი-ჰერტა ........ 1:1
შალკე-ლევერკუზენი ........ 0:3
ბაიერნი-დორტმუნდი ........ 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 26 | 16 | 7 | 3 | 76-29 | 55 |
| 2.დორტმუნდი | 26 | 17 | 2 | 7 | 57-35 | 53 |
| 3.უნიონი | 26 | 15 | 6 | 5 | 41-28 | 51 |
| 4.ფრაიბურგი | 26 | 13 | 8 | 5 | 39-35 | 47 |
| 5.ლაიფციგი | 26 | 13 | 6 | 7 | 49-33 | 45 |
| 6.აინტრახტი | 26 | 11 | 8 | 7 | 47-37 | 41 |
| 7.ლევერკუზენი | 26 | 12 | 4 | 10 | 48-40 | 40 |
| 8.მაინცი | 26 | 11 | 7 | 8 | 43-36 | 40 |
| 9.ვოლფსბურგი | 26 | 10 | 9 | 7 | 46-34 | 39 |
| 10.გლადბახი | 25 | 8 | 7 | 10 | 40-44 | 31 |
| 11.ვერდერი | 25 | 9 | 4 | 12 | 39-48 | 31 |
| 12.აუგსბურგი | 26 | 8 | 5 | 13 | 34-47 | 29 |
| 13.კიოლნი | 25 | 6 | 9 | 10 | 33-44 | 27 |
| 14.ბოხუმი | 26 | 8 | 2 | 16 | 28-57 | 26 |
| 15.ჰოფენჰაიმი | 25 | 6 | 4 | 15 | 33-45 | 22 |
| 16.ჰერტა | 26 | 5 | 7 | 14 | 31-49 | 22 |
| 17.შალკე | 26 | 4 | 9 | 13 | 21-48 | 21 |
| 18.შტუტგარტი | 26 | 4 | 8 | 14 | 29-45 | 20 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-ზანდჰაუზენი ........ 3:1
კარლსრუე-ბრაუნშვაიგი ........ 1:1
ზ.პაული-რეგენსბურგი ........ 1:0
კაიზერი-ჰაიდენჰაიმი ........ 2:2

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ხირონა-ესპანიოლი ........ 2:1
ბილბაო-ხეტაფე ........ 0:0
კადისი-სევილია ........ 0:2
ელჩე-ბარსელონა ........ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 27 | 23 | 2 | 2 | 53-9 | 71 |
| 2.რეალი | 26 | 17 | 5 | 4 | 51-21 | 56 |
| 3.ატლეტიკო | 26 | 15 | 6 | 5 | 42-19 | 51 |
| 4.სოსიედადი | 26 | 14 | 6 | 6 | 35-24 | 48 |
| 5.ბეტისი | 26 | 13 | 6 | 7 | 34-26 | 45 |
| 6.ვილიარეალი | 26 | 12 | 5 | 9 | 32-24 | 41 |
| 7.ბილბაო | 27 | 10 | 7 | 10 | 36-28 | 37 |
| 8.რაიო | 26 | 9 | 9 | 8 | 31-30 | 36 |
| 9.ოსასუნა | 27 | 9 | 8 | 10 | 22-27 | 35 |
| 10.სელტა | 26 | 9 | 7 | 10 | 32-35 | 34 |
| 11.ხირონა | 27 | 9 | 7 | 11 | 42-42 | 34 |
| 12.მალიორკა | 27 | 9 | 6 | 12 | 22-27 | 33 |
| 13.სევილია | 27 | 8 | 7 | 12 | 31-42 | 31 |
| 14.ხეტაფე | 27 | 7 | 9 | 11 | 27-34 | 30 |
| 15.კადისი | 27 | 6 | 10 | 11 | 21-40 | 28 |
| 16.ვალიადოლიდი | 26 | 8 | 4 | 14 | 20-38 | 28 |
| 17.ესპანიოლი | 27 | 6 | 9 | 12 | 33-44 | 27 |
| 18.ვალენსია | 26 | 7 | 5 | 14 | 28-31 | 26 |
| 19.ალმერია | 26 | 7 | 5 | 14 | 30-45 | 26 |
| 20.ელჩე | 27 | 2 | 7 | 18 | 19-55 | 13 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბურგოსი-რასინგი ........ 2:1
ლეგანესი-კარტახენა ........ 1:3
ტენერიფე-ვილიარეალი ბ ........ 1:1
ოვიედო-ეიბარი ........ 1:1

### იტალია. სერია ა

კრემონეზე-ატალანტა ........ 1:3
ინტერი-ფიორენტინა ........ 0:1
იუვენტუსი-ვერონა ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 27 | 23 | 2 | 2 | 64-16 | 71 |
| 2.ლაციო | 27 | 15 | 7 | 5 | 42-19 | 52 |
| 3.ინტერი | 28 | 16 | 2 | 10 | 47-32 | 50 |
| 4.მილანი | 27 | 14 | 6 | 7 | 44-36 | 48 |
| 5.ატალანტა | 28 | 14 | 6 | 8 | 47-32 | 48 |
| 6.რომა | 27 | 14 | 5 | 8 | 35-26 | 47 |
| 7.იუვენტუსი | 28 | 18 | 5 | 5 | 46-22 | 44 |
| 8.ბოლონია | 28 | 11 | 7 | 10 | 36-36 | 40 |
| 9.ფიორენტინა | 28 | 11 | 7 | 10 | 33-31 | 40 |
| 10.უდინეზე | 28 | 9 | 11 | 8 | 37-34 | 38 |
| 11.ტორინო | 27 | 10 | 7 | 10 | 29-33 | 37 |
| 12.სასუოლო | 27 | 10 | 6 | 11 | 35-40 | 36 |
| 13.მონცა | 27 | 9 | 7 | 11 | 32-37 | 34 |
| 14.ემპოლი | 27 | 6 | 10 | 11 | 24-36 | 28 |
| 15.ლეჩე | 27 | 6 | 9 | 12 | 24-32 | 27 |
| 16.სალერნიტანა | 27 | 6 | 9 | 12 | 31-47 | 27 |
| 17.სპეცია | 27 | 5 | 9 | 13 | 23-43 | 24 |
| 18.ვერონა | 28 | 4 | 7 | 17 | 22-42 | 19 |
| 19.სამდორია | 27 | 3 | 6 | 18 | 16-44 | 15 |
| 20.კრემონეზე | 28 | 1 | 10 | 17 | 23-52 | 13 |

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

### იტალია. სერია ბ

ასკოლი-ბრეშა ........ 4:3
ვენეცია-კომო ........ 3:2
კალიარი-ზიუდტიროლი ........ 1:1
კოზენცა-პიზა ........ 1:0
პარმა-პალერმო ........ 2:1
სპალი-ტერნანა ........ 1:1
ბარი-ბენევენტო ........ 2:0
პერუჯა-ფროზინონე ........ 1:1

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ოსერი-ტრუა ........ 1:0
რენი-ლანსი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 28 | 21 | 3 | 4 | 68-28 | 66 |
| 2.ლანსი | 29 | 17 | 9 | 3 | 48-21 | 60 |
| 3.მარსელი | 29 | 18 | 6 | 5 | 54-29 | 60 |
| 4.მონაკო | 28 | 16 | 6 | 6 | 57-37 | 54 |
| 5.რენი | 29 | 15 | 5 | 9 | 47-30 | 50 |
| 6.ლილი | 28 | 14 | 7 | 7 | 51-36 | 49 |
| 7.ნიცა | 28 | 11 | 11 | 6 | 37-25 | 44 |
| 8.ლორიანი | 28 | 12 | 8 | 8 | 41-37 | 44 |
| 9.რეიმსი | 28 | 10 | 13 | 5 | 36-28 | 43 |
| 10.ლიონი | 28 | 11 | 8 | 9 | 43-32 | 41 |
| 11.მონპელიე | 29 | 11 | 4 | 14 | 45-48 | 37 |
| 12.ტულუზა | 28 | 10 | 5 | 13 | 43-48 | 35 |
| 13.კლერმონი | 28 | 9 | 7 | 12 | 27-40 | 34 |
| 14.ნანტი | 28 | 6 | 12 | 10 | 30-37 | 30 |
| 15.სტრასბური | 28 | 5 | 11 | 12 | 34-46 | 26 |
| 16.ოსერი | 29 | 6 | 8 | 15 | 24-51 | 26 |
| 17.ბრესტი | 28 | 5 | 9 | 14 | 30-46 | 24 |
| 18.ტრუა | 29 | 4 | 9 | 16 | 38-62 | 21 |
| 19.აიაჩო | 28 | 6 | 3 | 19 | 20-50 | 21 |
| 20.ანჟე | 28 | 2 | 4 | 22 | 21-63 | 10 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

სტ.ეტიენი-ნიორი ........ 2:0
ვალანსიენი-პარიზი ........ 4:5
გრენობლი-ამიენი ........ 2:1
კაენი-დიჟონი ........ 2:1
მეცი-ლავალი ........ 1:0

მეცის გოლი გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა

ნიმი-ანსი ........ 4:0
პო-ლე ავრი ........ 0:0
როდეზი-კევიი ........ 0:0
ბასტია-სოშო ........ 3:2

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ვიზელა-კასა პია ........ 3:1
გიმარაეში-ფერეირა ........ 0:0
სპორტინგი-სანტა კლარა ........ 3:0

### ნიდერლანდები. ეპედივიზიონი

ალკმაარი-ჰერენვენი ........ 1:1
ექსელსიორი-ტვენტე ........ 0:0
კამბური-ემენი ........ 1:2
ნაიმეგენი-პსვ ........ 2:4
ვალვაიკი-ვიტესი ........ 1:0

### ბელგია. ა დივიზიონი

სერკლი-კორტრაიკი ........ 2:0
ვესტერლო-შარლერუა ........ 2:3
სერენი-გენტი ........ 0:5
ოსტენდე-სტანდარდი ........ 1:3

### თურქეთი. სუპერლიგა

ბაშაქშეჰირი-ანკარაგიუჯიუ ........ 1:0
ტრაბზონი-ქაისერი ........ 3:4
გალათასარაი-ადანა ........ 2:0

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-რიდი ........ 1:0
ალტახი-ტიროლი ........ 1:0

### შოტლანდია. პრემიერლიგა

კილმანროკი-ჰართსი ........ 2:1
რეინჯერსი-დ.იუნაიტედი ........ 2:0
სტ.ჯონსონი-აბერდინი ........ 0:1
სტ.მირენი-ლივინგსტონი ........ 3:0
ჰიბერნიანი-მოზერველი ........ 1:3

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ლევადიაკოსი-ატრომიტოსი ........ 1:1
პანეთოლიკოსი-ლამია ........ 1:3
იანინა-ოფი ........ 0:0
იონიკოსი-ასტერასი ........ 1:0

### შვეიცარია. სუპერლიგა

სერვეტი-იანგ ბოიზი ........ 2:1
ბაზელი-ვინთენთური ........ 2:0

### ჩეხეთი. 1 ლიგა

ბანიკი-ლიბერეცი ........ 0:0
ზლინი-ჩესკე ........ 5:1
ბოლესლავი-პლზენი ........ 0:0
სლავია-სიგმა ........ 4:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

კორონა-ლეგნიცა ........ 1:0
ლეგია-ჩენსტოხოვა ........ 3:1
ლეხია-სლასკი ........ 0:0

### უკრაინა. პრემიერლიგა

მინაი-ინგულეცი ........ 1:2
მეტალისტი-კოლოსი ........ 0:0
ვერესი-კრივბასი ........ 1:2
ოლექსანდრია-ვორსკლა ........ 3:0

### შვედეთი. ალსვენსკა

მალმიო-კალმარი ........ 1:0
დიურგარდენი-ბრომაპოიკარნა ........ 3:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასპინძლების დღე

ეროვნული ლიგის მეექვსე ტურის სამი მატჩი გაიმართა და სამივეში მასპინძლებმა მოიგეს. დაფიქსირდა ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი: შვიდი გოლი გავიდა, შვიდივე სხვადასხვა ფეხბურთელმა გაიტანა და მიმდინარე ჩემპიონატში შვიდივესთვის პირველი გამოდგა...

### ტორპედო-თელავი 2:1

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

**1:0 ბულრიძე (50), 1:1 ვ. ფაცაცია (66), 2:1 მონტეირო (88)**

**45-ე წუთზე კუხიანიძემ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)**

**ტორპედო:** კვასხვაძე, მჭედლიშვილი (გეგეჭკორი 69), მონტეირო, ნადარაია, ქობულაძე, სამურკასოვი, მანჯგალაძე (კაბალიერო 69), გ.კუხიანიძე (ოსიყმაშვილი 69), ბულრიძე, ფელაი (შერგელაშვილი 71), კაჭარავა (ნეტო 90)

**თელავი:** თანდილაშვილი, ვიტინიო, გიგაშვილი, ვ.ფაცაცია, ჯიქია, ფირანაშვილი (კრისტიანი 86), ქოჩლაძე (ნ.ნოზაძე 62), პარკინაშვილი, ყიფიანი, აშორტია (დუნდუა 75), ლ.კოხრეიძე (ილურიძე 62)

ქუთაისის ტორპედომ სამტრედიაში 2:1 სძლია თელავს. ამით რიონისპირელებმა მესამე ადგილი გაიმყარეს, ხოლო თუ ლიდერებს ფეხი დაუცდებათ, ჩასაფრებულებიც იქნებიან.

სამივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა: ირაკლი ბულრიძემ ტექნიკურად ითამაშა და შორეულ კუთხეში ზუსტი დარტყმით ტორპედო დააწინაურა – 1:0; თელავმა ვაჟა ფაცაციას თავურით გაათანაბრა; მატჩის დასასრულს ქუთაისელთა პორტუგალიელმა პედრო მონტეირომ ასევე თავურით საკუთარ გუნდს გამარჯვება მოუტანა.

ისე, პირველ ტაიმში ტორპედომ პენალტი ვერ გაიტანა – გიორგი კუხიანიძის დარტყმული ბურთი ლევან თანდილაშვილმა ფეხით მოიგერია. თანდილაშვილმა ამ სეზონში უკვე მეორე პენალტი აიღო.

კახურ გუნდში სამწვრთნელო დებიუტი ჰქონდა სომხეთის ნაკრების ყოფილ თავკაც ვარდან მინასიანს.

### საბურთალო-გაგრა 3:0

**რუსთავი. სფფ ტექნიკური ცენტრი**

**1:0 მამაგეიშვილი (34), 2:0 ტაბატაძე (42პ), 3:0 კოხრეიძე (63პ)**

**საბურთალო:** კუპატაძე, ც.კაპანაძე, ჩადუნელი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა, ლ.ნონიკაშვილი (გ.კოხრეიძე 60), ქარდავა, ო.მამაგეიშვილი (ასკურავა 67), ტაბატაძე (სილაგაძე 60), გ.მამაგეიშვილი (ციცქიშვილი 67), სილა (სიხარულიძე 83)

**გაგრა:** ქავთარაძე, ხოსიტაშვილი, ლ.ნოზაძე, კაკუბავა, გ.ლაცაბიძე (ნემსაძე 63), კაკაშვილი (შეწირული 82), შონია (სულთანიშვილი 63), ჩაგანავა (ვორობეი 7), მარკონდელე (ლომთაძე 82), მუსელიანი, ოქრიაშვილი

**გაძევება:** ქავთარაძე (2)

ომარ თეთრაძის გაწვრთნილმა საბურთალომ დიდი ანგარიშით (3:0) მოუგო გაგრას, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ქულა აქვს და ბოლო ადგილზეა. საბურთალო კი მეოთხეზეა.

გაგრა უკვე მე-2 წუთზე კაცნაკლული დარჩა: ბოლო იმედის ჯარიმისთვის მეკარე ნიკა ქავთარაძე გააძევეს. ქავთარაძე საჯარიმო მოედნის გარეთ გამოვიდა და იური ტაბატაძეს ეუხეშა.

საბურთალო ოთარ მამაგეიშვილის გოლით დაწინაურდა, ვინაც ძმის, გიზო მამაგეიშვილის პასით გაიტანა – 1:0. პირველი ტაიმის ბოლოს ტაბატაძემ პენალტი ზუსტად შეასრულა.

მეორე ნახევარში საბურთალომ კიდევ ერთხელ გაიტანა პენალტი. ამჯერად, გიორგი კოხრეიძემ, რომელიც ორი წუთის შესული იყო მინდორზე.

### დილა-სამტრედია 1:0

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**1:0 მახარობლიძე (67)**



**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ძოწენიძე, ეტუ, სილვა, სანტოსი, ნ.გაგნიძე (ცეცხლაძე 90), გომისი (გაფრინდაშვილი 69), ფარულავა (ჟან ვიქტორი 69), გეილი, მახარობლიძე (კოვტალიუკი 80)

**სამტრედია:** ბურიჩენკოვი, გვიშიანი (ლალაძე 80), აბულაძე, კილასონია, უბილავა, ოლატუნჯი (ხმალაძე 24), ხაიბულაევი, დ.კირკიტაძე (კორიფაძე 62), რობაქიძე (პაპუნაშვილი 62), ნაჭყებია, ჩამბა (ზარიძე 80)

გორელებმა საშინაო არენაზე ბიძინა მახარობლიძის გოლით სამტრედიელებს მოუგეს. კარგი კომბინაციის მერე ტიერი გეილმა ჩააწოდა და მახარობლიძემ თავურით გაიტანა – 1:0.

საინტერესოა, რომ დილამ პირველ ტურში დინამო თბილისთან მარცხის მერე მეხუთე წაუგებელი მატჩი ჩაატარა, ხოლო სამტრედია პირიქით: პირველ ტურში გამარჯვების მერე, ხუთ ტურში მხოლოდ ერთი ქულა აიღო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 5 | 4 | 1 | 0 | 15-6 | 13 |
| 2.დინამო (ბთ) | 5 | 4 | 1 | 0 | 13-6 | 13 |
| 3.ტორპედო | 6 | 3 | 3 | 0 | 7-2 | 12 |
| 4.საბურთალო | 6 | 2 | 3 | 1 | 9-7 | 9 |
| 5.დილა | 6 | 2 | 3 | 1 | 5-3 | 9 |
| 6.სამგურალი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 7.თელავი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-7 | 5 |
| 8.სამტრედია | 6 | 1 | 1 | 4 | 6-13 | 4 |
| 9.შუქურა | 5 | 1 | 0 | 4 | 5-9 | 3 |
| 10.გაგრა | 6 | 0 | 1 | 5 | 8-19 | 1 |

# სეოკ-ის გადაწყვეტილებით, სამეგრელოს რეგიონულ ორგანიზაციას უფლებამოსილება შეუწყდა

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (სეოკ) აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა. სხდომას საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე იოსებ ბალათურია, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალექსანდრე მაისურაძე და სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

აღმასკომის წევრებმა ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის შესახებ, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის მამუკა ხაბარელის ინფორმაცია მოისმინეს.

ითქვა ისიც, რომ 2025 წელს ბაკურიანში გასამართი ევროპის ზამთრის მომდევნო ოლიმპიური ფესტივალი ხელს შეუწყობს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ახალი ტალანტების გამოვლენას ზამთრის სპორტში.



მე-3 ევროპული თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების მიმდინარეობისა და თამაშებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების შესახებ, აღმასკომს ინფორმაცია გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა მიაწოდა.

აღინიშნა, რომ მე-3 ევროპულ თამაშებში საქართველოდან სპორტის 15 სახეობაში მონაწილეობას 100-ზე მეტი სპორტსმენი მიიღებს. თამაშებისთვის მზადება გეგმაზომიერად მიმდინარეობს, სადაც აქტიურადაა ჩართული სამედიცინო ჯგუფიც. ამ ეტაპზე ოლიმპიური დელეგაციის ალკაზმულობისა და პოლონეთში მგზავრობასთან დაკავშირებით ყველა საკითხი მოგვარებულია. კრაკოვში მე-3 ევროპულ თამაშებში მონაწილეთა გაცილების ცერემონიალი 16 ივნისს გაიმართება.

მე-3 ევროპული თამაშების გახსნის ცერემონიალზე საქართველოს დელეგაციის მედროშედ კანოეში მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის ოქროსა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე ზაზა ნადირაძე დამტკიცდა.

აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია ევროპის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ქართველ სპორტსმენთა მზადების მიმდინარეობის შესახებ.

ბაკურიანი 2025-ის საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობის შესახებ აღმასკომს ინფორმაცია საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მამუკა ხაბარელმა მიაწოდა.

აღმასკომმა იმსჯელა სეოკ-ის სამეგრელოს რეგიონის ოლიმპიური კომიტეტი „ოლიმპის" შესახებ. აღინიშნა, რომ სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა (თავმჯდომარე ლევან ლატარია) პრაქტიკულად მოწყვეტილია ქვეყნის ოლიმპიურ და სპორტულ ცხოვრებას, ადგილი აქვს სეოკ-ის წესდების მოთხოვნათა უგულებელყოფას, რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელით, რომელიც წლებია უცხოეთში იმყოფება, კეთდება განცხადებები, რაც საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის დისკრედიტაციას იწვევს.

აღმასკომის დადგენილებით, სეოკ-ის წესდების VI თავის 4.1 პარაგრაფის შესაბამისად, სეოკ-ის სამეგრელოს რეგიონალურ ორგანიზაციას უფლებამოსილება შეუწყდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია წარედგინება სეოკ-ის უახლოეს სესიას. სეოკ-ის სამეგრელოს ორგანიზაციის განახლებასთან და შემდგომ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხზე კონსულტაციები გაიმართება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ ადმინისტრაციასა და სპორტის ხელმძღვანელობასთან.

სეოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, პარიზის 2024 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი იქნება სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი წვლილისათვის და დაბადებიდან 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის ფოტომემატიანე, მრავალი ისტორიული ფოტოს ავტორი ალექსანდრე კოტორაშვილი, ლერი ხაბელოვმა ოლიმპიური კომიტეტის დიპლომითა და პრემიით დააჯილდოვა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# მამუკელაშვილის ორმაგი დუბლი, ბითაძის ორი ქულა

სანდრო მამუკელაშვილის პირველი ორმაგი დუბლი სან ანტონიოში. ტეხასური გუნდის 23 წლის ქართველმა ფორვარდმა ოკლენდში, გოლდენ სტეიტის წინააღმდეგ 13 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა. თუმცა, მატჩი მასპინძელმა გოლდენ სტეიტმა მოიგო – 130:115.

მამუკელაშვილი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 29:13 წუთი გაატარა. ქართველმა ლეგიონერმა 10-დან 6 ორქულიანი და 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამიანი კი, ააცილა. სანდრომ ფარზე მაგრად ითამაშა და მოედანზე მყოფთაგან ყველაზე მეტი ბურთი მოხსნა. მის ანგარიშზე ჯამში 13 ქულა, 11 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება დაგროვდა.




მომდევნო მატჩს სან ანტონიო საკრამენტოში, კინგსთან გამართავს.

გოგა ბითაძის ორლანდო მეჯიქმა კი, უშუალო კონკურენტ ვაშინგტონ ვიზარდს მოუგო. მატჩი ამერიკის დედაქალაქში გაიმართა და ფლორიდული გუნდის გამარჯვებით – 116:109 დასრულდა.

ბითაძემ მოედანზე 21:40 წუთი დაჰყო. ბითაძემ სამი ორქულიანიდან 1 ჩააგდო, ერთი სამიანი ააცილა. შედეგად, მის ანგარიშზე 2 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა დაგროვდა.

33 მოგებითა და 44 მარცხით ორლანდო აღმოსავლეთ კონფერენციაში ისევ მე-13 ადგილზეა. მომდევნო მატჩი ფლორიდელებს ორლანდოში, აუტსაიდერ დეტროიტთან ელით.

## დაუსრულებელი უსამართლობა

გაუსაძლისი გახდა ამ ქვეყანაში ცხოვრება. ისე გექცევიან საკუთარ მიწაზე, როგორც მტერს – პირად საქმიანობაში ხელის შეშლა, შანტაჟი, სიძულვილი, მუქარა, ქვეყნის ოკუპაცია და დეოლიგარქიზაცია.

ყოველდღიურად უარესდება ცხოვრება. გდევნიან იმის გამო, რომ განსხვავებული შეხედულება გაქვს პოლიტიკაზე და იბრძვი უსამართლობის წინააღმდეგ. იძულებულს გხდიან, მიიღო ზომები და თავი დააღწიო ამ უსამართლობას, რადგან ასე ცხოვრება შეუძლებელია!

*დავით ლალიაშვილი*

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. შინაური ფრინველი; 2. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში; 3. ქალაქი ა-შშ-ში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ნაციონალური ცენტრი; 4. მთვარიანი ღამე; 5. შინაური კურდღელი; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. უდიდესი ბუნებრივი ნაკრძალი აშშ-ში; 12. უეფას პრეზიდენტი; 13. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 16. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება სასამართლოში; 17. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 19. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 20. ბალერინას სპეციალური ფეხსაცმელი.

**თარაზულად:** 6. ძველი, იშვიათი ნივთების შემფასებელი, მოვაჭრე; 7. რძის შაქარი; 8. რაიონული ცენტრი სვანეთში; 10. ძრავა, რომელიც აირის, წყლის, ენერგიას მექანიკურ ენერგიად გარდაქმნის; 11. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 15. თაღლითი, მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 18. რაიმე დარგის, მეცნიერების ზოგადი განყენებული საფუძვლები; 21. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 22. საქართველოს ზღვისპირეთში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც ღებულობენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 23. ისრაელის სახელმწიფო ენა; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბეჟარი; 2. სილვა; 3. სტადია; 4. კოპიჭი; 6. ალბიონი; 9. დუომო; 11. ბაკარდი; 15. ნაფტალინი; 16. სესილი; 17. პასკვილი; 19. იურმალა; 21. საყდარი; 22. კაჭიჭი.

**თარაზულად:** 5. გენლაინი; 7. ლაქტოზა; 8. ოპტიკა; 10. კუპდარი; 12. ჭიუხი; 13. ოტავა; 14. დომინიონი; 18. სააბი; 20. ფესახი; 23. ბაჩანა; 24. ყუმი; 25. ყულევი; 26. ჭონა; 27. არაბიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნიორაძე; 2. ხინკალი; 3. რისლინგი; 4. ჟუდეცი; 5. სუარესი; 8. მემფისი; 9. პარალიზი; 12. ნოკდაუნი; 13. ერლიფტი; 16. ყოეკვარა; 17. კანკანი; 19. სმალტა; 20. ბაწარა.

**თარაზულად:** 6. ჰინდიკუში; 7. სულგუნი; 8. მელაძე; 10. პაიჭაძე; 11. გემა; 14. გორდონსი; 15. ოკულისტი; 18. კოზაკი; 21. მატიანე; 22. რანდი; 23. აუდიტი; 24. ზამინდარი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

3 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5563

ევრო — 2.7802

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1634

100 რუსული რუბლი — 3.3040




ეროვნული ბიბლიოთეკა

## რობერტ ლევანდოვსკი: „ბარსელონა სწორ გზაზე დგას“



ბარსელონამ სტუმრად ელჩე დაამარცხა 4:0 და თავისი ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა. შეხვედრაში ორი გოლი რობერტ ლევანდოვსკის ანგარიშზეა, რომელმაც თქვა, რომ ბარსელონა სწორ გზაზე დგას და გუნდი ყოველდღიურად ვითარდება: „მინდა, რომ ბიჭებს გამარჯვება მივულოცო, რადგან დღეს ჩვენ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით წინ. ესპანეთის ჩემპიონობა სულ უფრო რეალური ხდება და ეს ძალიან მახარებს“.

## გვარდიოლა: „მეორე ტაიმში ლივერპულს ყველა კომპონენტში ვაჯობეთ“



მანჩესტერ სიტიმ საკუთარ მოედანზე ლივერპული 4:1 დაამარცხა, თუმცა არსენალთან ქულათა სხვაობის შემცირება ვერ შეძლო. აღსანიშნავია, რომ პირველი გოლი ლივერპულმა გაუშვა, მაგრამ სიტიმ მათ 4 გოლით უპასუხა. მატჩის შემდეგ გვარდიოლამ თავისი ფეხბურთელები შეაქო: „პირველ ტაიმში თანაბარი თამაში იყო, მაგრამ მეორე ტაიმში ყველამ კარგად დაინახა, რომ ჩვენ უკეთესი გუნდი ვიყავით. ლივერპულს ვაჯობეთ და გამარჯვება დავიმსახურეთ“.

## ტომას ტუხელი: „დებიუტით კმაყოფილი ვარ“

ბაიერნმა საკუთარ მოედანზე დორტმუნდის ბორუსია დაამარცხა 4:2 და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ეს შეხვედრა პირველი იყო მწვრთნელისთვის, ტომას ტუხელისთვის, რომელმაც მატჩის შემდეგ თქვა, რომ ის თავისი დებიუტით კმაყოფილია: „ძალიან კარგი შეხვედრა გამოვიდა, თუმცა მატჩის ბოლოს ცოტათი მოვეშვით და შესაბამისი შედეგიც მივიღეთ. მიხარია, რომ ასეთი დებიუტი გამომივიდა და მინდა, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანო“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ზაზა მიქაშავიძე გარდაიცვალა



68 წლის ასაკში მსახიობი ზაზა მიქაშავიძე გარდაიცვალა. იგი თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში დაარსების დღიდან აქტიურად მოღვაწეობდა და წლების განმავლობაში შექმნა არაერთი საინტერესო სცენური როლი. ზაზა მიქაშავიძემ გააცოცხლა მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლი „ჩვენი პატარა ქალაქი“, სადაც მთავარ როლს თამაშობდა.

ზაზა მიქაშავიძე კინორეჟისორების ფოკუსშიც მოექცა და არაერთ ფილმში მიიღო მონაწილეობა. მან და მისმა მეუღლემ ნინელი ჭანკვეტაძემ მთელი ცხოვრება ქართულ თეატრსა და კინოს მიუძღვნეს.

ინფორმაცია ზაზა მიქაშავიძის გარდაცვალების შესახებ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრმა გაავრცელა:

– გარდაიცვალა მსახიობი და რეჟისორი ზაზა მიქაშავიძე. თუმანიშვილის თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მოამაგე. ზაზა მიქაშავიძე იყო მიხეილ თუმანიშვილის საუკეთესო მოწაფე, მისი მუდმივი თანამოაზრე და ერთგული მეგობარი.

## იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ქმარი საათივითაა.

– პუნქტუალურია?

– არა, უბრალოდ, ღამით ხვრინვის მექანიზმი ერთვება.

•••

ერთი მეგობარი მეორეს შესჩივის:

– ჩემი ცოლი ჩემ ლაპარაკს საერთოდ არ უგდებს ყურს.

– ძილში დაიწყე ლაპარაკი და შენი ერთი სიტყვაც კი არ გამოეპარება.

•••

ქმარმა ცოლს გასძახა:

– დედაკაცო, ის შენი ლიფი, გარეთ რომ დაგიკიდია, ბავშვებს ჰამაკი ჰგონიათ და შიგ ქანაობენ.

•••

ფეხბურთის თამაშისას მსაჯის სასტვენით გაღიზიანებული ერთ-ერთი მოთამაშე მსაჯს ეუბნება:

– შენ, ძამა, ცხვირით ვერ სუნთქავ თუ რაფრა წარამარა უსტვენ მაგ სასტვენს?!

•••

ჰოლანდიაში ჩასულ რუს ტურისტს გიდი აფრთხილებს:

– ვინიცობაა დაიკარგო, რუსეთის საელჩოში მიდი.

რუსს მართლაც აებნა გზა და წითელი ფარნების ქუჩაზე მოხვდება. წინ ერთი კაცი გადაუდგება და ეკითხება:

– თეთრი გოგო?

– არა.

– შავი გოგო?

– არა. მე რუსეთის ელჩი მინდა.

– ოოო, არჩევანს გიწონებ, თუმცა ცოტა ძვირი დაგიჯდება.

•••

ჯარიმა – არის გადასახადი იმისთვის, რაც არასწორად გააკეთე.

გადასახადი – არის ჯარიმა იმისთვის, რასაც სწორად აკეთებ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ნუცა ბუზალაძემ ჰოლივუდში იმღერა



მას შემდეგ, რაც მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ „ამერიკის ვარსკვლავის“ ჟიურისგან ოქროს ბილეთი მიიღო, ჰოლივუდში ჩავიდა.

ნუცამ დარბაზში მყოფი მსმენელისა და ჟიურის წევრებისთვის სელინ დიონის სიმღერა შეასრულა. ქართველ მომღერალს ჟიურიცა და დარბაზიც ფეხზე წამოუდგა და ხანგრძლივი ოვაციებითა და აპლოდისმენტებით დააჯილდოვა.

ნუცას ჰოლივუდური გამოსვლა „ამერიკის ვარსკვლავის“ ოფიციალურ გვერდზე ინტერნეტში გამოქვეყნდა. ვიდეოს ათასობით ნახვა და მოწონება აქვს.

## გიორგი გიგაშვილმა ყველა მნიშვნელოვანი პრიზი მოიგო



პიანისტმა გიორგი გიგაშვილმა არტურ რუბინშტეინის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე ყველა მნიშვნელოვანი პრიზი მოიგო. მეორე ადგილზე გავიდა, 20.000 დოლარის მფლობელი გახდა, მსმენელის პრიზი, მოშე მაიერის პრიზი დაიმსახურა, ებრაელი კომპოზიტორისა და კამერული მუსიკის საუკეთესო შემსრულებლად დასახელდა, კონსერვატორიების ფავორიტი გახდა და ახალგაზრდა ჟიურისგან პირველი ადგილი დაიმსახურა.

ქართველი მუსიკოსი ერთადერთი კონკურსანტი აღმოჩნდა, რომელსაც დამსწრე საზოგადოება ფეხზე წამოუდგა და ხანგრძლივი ოვაციებითა და მქუხარე აპლოდისმენტებით დააჯილდოვა. ჟურნალისტებმა მას „გენია საქართველოდან“ უწოდეს.

სასიხარულო ინფორმაცია კონსერვატორიის რექტორმა ნანა შარიქაძემ გაავრცელა:

– 17 დღე ურთულესი კონკურსის, II ადგილი და ყველა მნიშვნელოვანი პრიზი (სულ 8 პრიზი) ჩვენია: მე-2 ადგილი, ვერცხლის მედალი, და მოშე მაიერის პრიზი. მსმენელის პრიზი. ებრაელი კომპოზიტორის საუკეთესო შემსრულებელი. კამერული მუსიკის საუკეთესო შემსრულებელი. კონსერვატორიების ფავორიტი, ზუსტად დასახელება როგორ არის, ნამდვილად არ ვიცი. ახალგაზრდა ჟიურის I ადგილის პრიზი. შენი რეზო ბაბუ ნამდვილად ხარობს მიღმისეულ სამყაროში. ჩვენ კი სიტყვებიც არ გვაქვს, საკმარისად გამოვხატოთ ის სიამაყე და ბედნიერება, რაც შენ მოგვანიჭე. ვულოცავ ქართულ საშემსრულებლო სკოლას... და ყველაზე დიდი მილოცვა შენ, შელფ მადე უშიშარო ადამიანო. იამაყე საქართველო! ლაღად და თავისუფლებით დატენილს გევლოს მუსიკოსის და არტისტის ამ ძალიან რთულ გზაზე, გიორგი. ზუსტად ვიცი, შენს ბეწვის ხიდს ყოველთვის გაივლი.

თავად გამარჯვებულმა გიორგი გიგაშვილმა კი საკუთარი წარმატება სამი მნიშვნელოვანი წინადადებით გამოხატა:

– სამი რამ: მეორე ადგილი ავიღე. საქართველო ევროპაა! მადლობა ყველას, მართლა ყველას, უსაზღვროდ მადლობელი ვარ, როგორც მიგულშემატკივრეთ მთელი ეს პერიოდი.

## დათო არჩვაძე საავტორო ალბომის პრეზენტაციას გამართავს

მომღერალი და კომპოზიტორი დათო არჩვაძე 4 აპრილს საავტორო ალბომის პრეზენტაციას გამართავს.



ხელოვანი მსმენელს 4 აპრილს კანდელაკის ქუჩაზე მდებარე ბიბლუსში შეხვდება და საავტორო ალბომიდან რამდენიმე სიმღერას შეუსრულებს.

დათო არჩვაძემ ახალ ალბომში თავისი შემოქმედებიდან საუკეთესო მუსიკალური კომპოზიციები შეიტანა.

## ბელა მირიანაშვილი 85 წლის გახდებოდა

თეატრისა და კინოს უნიჭიერესი მსახიობი ბელა მირიანაშვილი 85 წლის გახდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თეატრსა და კინოში ხანგრძლივად არ უმუშავია, მისი თეატრალური თუ კინოროლები დაუვიწყარია მაყურებლისთვის. იუბილარი მსახიობი, შედარებით ხანმოკლე შემოქმედებითი საქმიანობის მიუხედავად, ქართული სამსახიობო ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია.

ბელა მირიანაშვილი თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მე-4 კურსიდან თამაშობდა რუსთაველის თეატრში, სადაც მიხეილ თუმანიშვილის, რობერტ სტურუას, მედეა კუჭუხიძის გახმაურებულ სპექტაკლებში დაუვიწყარი და საინტერესო სცენური სახეები შექმნა.

სტუდენტობის პერიოდშივე აღმოჩნდა ქართულ კინემატოგრაფში. უსაზღვრო პოპულარობით და მაყურებელთა სხვადასხვა თაობის დიდი სიყვარულით სარგებლობენ ბელა მირიანაშვილის რომანტიზმით, სისადავითა და ბუნებრიობით გამორჩეული კინოგმირები ფილმებიდან „საბუდარელი ჭაბუკი“, „უდიპლომო სასიძო“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „წარსული ზაფხული“...

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



3 აპრილისათვის

**ვერძი** – ნუ იაქტიურებთ და ნუ იჯიუტებთ. მოულოდნელი ინფორმაცია გეგმებს შეგიცვლით. **კურო** – ყველა უსიამოვნება დავიწყებას მიეცემა. ფორტუნა გიღიმით. განსაკუთრებით უმართლებთ შემოქმედებით სფეროში მომუშავე ადამიანებს. **ტყუპები** – სამსახურში კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი გელით. ეცადეთ, ნებისმიერი პროვოკაცია თავიდან გონივრულად აიცილოთ. **კირჩხიბი** – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ საქმიან შეხვედრებს. ემოციური ფონი ძალზე მაღალია, რაც სწორი დასკვნების გამოტანაში ხელს შეგიშლით. **ლომი** – პროფესიულ საქმიანობაში შეცდომის დაშვების ალბათობა დიდია. საკუთარი პრინციპების დათმობა მოგიწევთ. **ქალწული** – გადაღლილი ხართ. ახლობლების შენიშვნები მშვიდად მიიღეთ. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. **სასწორი** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. მიენდეთ ინტუიციას. ემოციები აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – ოჯახში არასტაბილური სიტუაციაა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ერიდეთ საქმის გარჩევებს ახლობლებთან. **მშვილდოსანი** – უარი თქვით მოგზაურობასა და მივლინებებზე. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თხის რქა** – აგრესიისა და მკვეთრი გამოთქმებისაგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. წარმატება მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. **მერწყული** – ახალი წამოწყება გაამართლებს. ბედი გწყალობთ. სამსახურში ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას. **თევზები** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ორგანიზმი გაიწმინდეთ. მიირთვით ჯანსაღი საკვები. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი




**შვეულად:** 1. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 2. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ანსამბლი; 3. „ნ.ბ.ა.“-ს ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი; 4. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე აგური; 6. უნგრული წვნიანი კერძი; 9. ლირიკული სიუჟეტის ზანგური სასიმღერო-საცეკვაო მუსიკა; 11. ჩინელი ფილოსოფოსი; 15. დედამიწის ქერქი, მტკიცე გარსი; 16. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. ცბიერი, ვერაგი, მოღალატე ადამიანი; 19. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 21. რწმენა, მსოფლმხედველობა; 22. ძველებური სატუსაღო.

**თარაზულად:** 5. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი; 7. ძალიან იშვიათი ნივთი; 8. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 10. სარეკლამო ლოზუნგი; 12. აზროვნების ორგანო; 13. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 14. სპარსელ დამპყრობელთა სახელწოდება საქართველოში; 18. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 20. ეთიოპიის მმართველთა ტიტული; 23. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 24. პატარა ბუ; 25. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 26. ქალაქი შიდა ქართლში; 27. სასამართლოს მსაჯული ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*